



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

უფლებები არა-ევროკავშირელი ვიზიტებისთვის იტალიაში: შესაძლებლობები და გამოწვევები

თბილისი
2017



გამოცემა მომზადებულია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ერთობლივი პროექტის **კვლევაზე დაფუძნებული ადვოკატირებით, ცნობიერების ამაღლებით, ქსელური მუშაობითა და ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში მიგრაციის მართვის განვითარება** ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

ავტორები:

ტერეზა მ. კაპპიალი (Collegio Carlo Alberto, Italy)

და

რობერტა პერნა (Universita di Torino, Italy)

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია & მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი	4
1. ძირითადი კანონმდებლობა იმიგრაციის შესახებ.	4
1.1 ერთიანი საიმიგრაციო ტექსტის მიმოხილვა	6
1.1.1 პირობები შესვლასა და კონკრეტული დასაქმებების ხელმისაწვდომობაზე.	7
რეგიონალური და ადგილობრივი სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი	8
1.2 Bossi-Fini კანონი და უსაფრთხოების პაკეტი	9
1.3 იტალიის კანონმდებლობის შედეგები იმიგრაციაზე არა ევროკავშირელი იმიგრანტების უფლებებზე	11
2. შრომითი გარანტიები და ანტი-დისკრიმინაციული და ანტი-ექსპლუატაციური ზომები	13
2.1 დისკრიმინაცია და ექსპლოატაცია იტალიის შრომით ბაზარზე	13
2.2 კანონიერი ინსტრუმენტები დისკრიმინაციისა და შრომითი ექსპლოატაციის წინააღმდეგ	14
არასამთავრობო ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების მნიშვნელოვანი როლი	16
3. უფლება და ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე	18
3.1 როგორ მიიღება ჯანდაცვის მომსახურება. შესაძლებლობები და გამოწვევები.	19
3.2 განსხვავებული რეგიონული პოლიტიკა ჯანდაცვაზე არაევროკავშირელი იმიგრანტებისთვის	22
3.3 ხელშეწყობის პოლიტიკა არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე.	23
3.4 საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის უფლების დაცვაში.	24
4. უფლება და ხელმისაწვდომობა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე	25
4.1 როგორ უნდა შევექმნათ ასოციაცია	26
ბიბლიოგრაფია	27

დანართები

დანართი 1. ბინადრობის ძირითადი ნებართვები იმიგრანტებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის (ერთიანი ტექსტი, განახლებული 2017 წლის აპრილში)	31
დანართი 2. სავალდებულო რეგისტრაცია ჯანდაცვაზე	36
დანართი 3. ჯანდაცვის ნებაყოფლობითი რეგისტრაცია	37
დანართი 4. არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის უფლება	38
დანართი 5. ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე ვისაც აქვს დარჩენის საშუალება ჯანდაცვის მიზეზების გამო	39

უფლებები არა-ევროკავშირელი მიგრანტებისთვის იტალიაში: შესაძლებლობები და გამოწვევები

შესავალი

მოცემულ ნაშრომში განვიხილავთ შესაძლებლობებს და გამოწვევას არა ევროკავშირელი მიგრანტებისთვის იტალიაში უფლებების ხელმისაწვდომობაზე. ყურადღება იქნება გამახვილებული შრომით გარანტიებზე, ანტიდისკრიმინაციულ და ანტიექსპლუატაციურ ზომებზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე¹. არა ევროკავშირელი მიგრანტების უფლებების უმეტესობა განისაზღვრება მიგრანტის სტატუსით და ისინი გარანტირებულია, თითქმის ექსკლუზიურად იმ მიგრანტებისთვის ვისაც აქვთ „რეგულარული“ გრძელი ან მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა (**Permesso di Soggiorno**). „არადოკუმენტირებულ“ ან „არარეგულარულ“ მიგრანტებს აქვთ ძალიან ცოტა ფორმალური უფლება. გამონაკლისებში შედის დაცვა შრომითი ექსპლოატაციისგან და ხელმისაწვდომობა საბაზისო ჯანდაცვაზე. თუმცა ეს უფლებები ფორმალურად გარანტირებულია მაგრამ, რამდენიმე შეზღუდვა არსებობს კონკრეტულ უფლებებზე მიგრანტებისთვის მათ მისაღებად².

მოცემული ნაშრომი დაყოფილია შემდეგნაირად: ის თავიდან წარმოადგენს იტალიის საიმიგრაციო რეგულირების მთავარ კა-

ნონმდებლობას და აფასებს მის შედეგებს იმიგრანტებისთვის უფლებების ხელმისაწვდომობაზე. შემდეგ წარმოადგენს შრომით გარანტიებზე ხელმისაწვდომობის პირობებს ისევე, როგორც ანტიდისკრიმინაციულ და ანტიექსპლუატაციურ ზომებს არა ევროკავშირელი მიგრანტი მუშების დასაცავად. ეს სექცია აფასებს ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების როლს იმიგრანტებისთვის შრომით უფლებებზე ხელმისაწვდომობის გარანტირებაში. რის შემდეგაც ის აცნობს ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობისთვის საჭირო კრიტერიუმებსა და პირობებს, როგორც „დოკუმენტირებული“ ასევე „არადოკუმენტირებული“ მიგრანტებისთვის. ის ასრულებს არა ევროკავშირელი მიგრანტების იტალიის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის უფლებების წარმოადგენით.

1. ძირითადი კანონმდებლობა იმიგრაციის შესახებ

ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს არა ევროკავშირელი მიგრანტების შემოსვლასა და იურიდიულ სტატუსს იტალიაში, არის საკანონმდებლო განკარგულება

¹ გამახვილებთ ყურადღებას ვგრძობთ ნოდებულ „ეკონომიკურ მიგრანტებზე“ და ნაწილობრივ მათი ოჯახის წევრებზე. სხვა მხრივ თავშესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებზე ყურადღება არ გამახვილებულა.

² იტალიაში არსებობს საგრძნობი განსხვავება „არალეგალურ“ (ეგრეთ ნოდებული „clandestini“) და „არარეგულარულ“ მიგრანტებს შორის. პირველნი არიან არა-ევროკავშირის მოქალაქეები, რომლებიც შემოვიდნენ ქვეყანაში კანონიერი უფლების გარეშე, ხოლო უკანასკნელნი არიან ისინი ვინც შევიდა ქვეყანაში კანონიერი უფლებით, მაგრამ დარჩენა გადააცილა დასაშვებ ვადას. მოცემულ ნაშრომში ჩვენ მოვერიდეთ გვეხმარა სიტყვა „არალეგალური“, რადგანაც ის იწვევს იმიგრანტების კრიმინალიზებას და მრავალი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციისთვის ეს სიტყვა პრობლემურია.

ჩანართი 1/ ევროკავშირის დირექტივები არა ევროკავშირელი იმიგრანტების უფლებებზე

მნიშვნელოვანია, რომ იტალიის საიმიგრაციო კანონმდებლობაზე გავლენა იქონია მისმა შენგენის წევრობამ და განსაკუთრებით იტალიის, როგორც ევროკავშირის გარე საზღვრის როლმა. ამ გავლენამ მოახდინა კანონმდებლობის ფორმირება *ტურკო-ნაპოლიტანოს* დროიდან მანც.

უკანასკნელ წლებში, ევროკავშირის წევრებს შორის იმიგრაციის კანონების ჰომოგენიზაციის მიზნით, იქნა წარმოდგენილი რამდენიმე დირექტივა. მათგან სამი იმსახურებს ჩვენს ყურადღებას:

(1) 2008/115/CE დირექტივა – მიღებული 2008 წელს „არარეგულარული“ იმიგრანტების რეპატრიაციის (სამშობლოში დაბრუნების) დარეგულირების მიზნით, იტალიაში ის იქნა მიღებული საკანონმდებლო განკარგულებით (*Decreto Legge*) ნომერი 89/2011. შემდგომში, გარკვეული ცვლილებით, ის გახდა კანონი ნომერი 129/2011. მთავარი პრობლემები, რომლებსაც მართავს დირექტივა: (1) არადოკუმენტირებული იმიგრანტის დაბრუნების ვალდებულება, თუ მან ნებაყოფლობით არ დატოვა ქვეყანა; (2) შესვლის შეზღუდვები, რომელთა ხანგრძლივობა უნდა დამყარდეს „ინდივიდუალური შემთხვევის ყველა რელევანტურ გარემოებებზე“ და არ გადააცილოს ხუთ წელიწადს, თუმცა უფრო გრძელვადიანი აკრძალვებიცაა შესაძლებელი „საზოგადოებრივი პოლიტიკისთვის, ჯანმრთელობისა და ნაციონალური უსაფრთხოებისთვის სერიოზული საფრთხის“ შემთხვევაში. (მე-11 მუხლი, *ერთიანი ტექსტი*); (3) პროცედურული გარანტიები და უფლებები არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის; (4) დაკავების მიზეზები და პირობები. მიღებიდან 5 წლის მანძილზე, დირექტივა, თავისი დაკავების კანონის გამო, ევროკავშირის სასამართლოს არა ერთი გარჩევის მიზეზი ყოფილა.

(2) 2009/50/CE დირექტივა – მიღებული არა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაღალუნარიანი მუშების შემოსვლის და ბინადრობის პირობების რეგულაციისთვის, იტალიაში ის იქნა მიღებული საკანონმდებლო განკარგულებით ნომერი 108/2012. რომ დავაკონკრეტოთ, დირექტივამ შემოიღო ეგრეთ წოდებული ცისფერი ბარათი. ის სთავაზობს სამუაო ნებართვაზე განაცხადის შეტანის ერთჯერად პროცედურას მაღალუნარიან არა ევროკავშირის მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სამუშაო კონტრაქტი ან სამუშაო შეთავაზება. ნებართვა ვალიდურია 3 წლამდე, რის შემდეგაც შეიძლება მისი განახლება. ცისფერი ბარათის მფლობელებს ხელი მიუწვდებათ რიგ უფლებებზე, მათ შორის ოჯახის გაერთიანების ხელსაყრელი წესები და უმუშევრობის ბენეფიტები.

(3) 2009/52/CE დირექტივა – მიღებული ევროკავშირის მიერ 2009 წელს, „არარეგულარული“ იმიგრანტების არალეგალურ ეკონომიკაში დასაქმებასთან ბრძოლის მიზნით. იტალიამ თავის კანონმდებლობაში მიიღო ეს დირექტივა საკანონმდებლო განკარგულებით ნომერი 109/2012. დირექტივა კრძალავს არადოკუმენტირებული იმიგრანტების დასაქმებას და დამსაქმებლებს უწესებს ფინანსურ, ადმინისტრაციულ და საჯარიმო სანქციებს. საჯარიმო სანქციები ძირითადად უკავშირდება: (1) არასრულწლოვანთა შრომითი ძალის გამოყენებას; (2) არარეგულარული მუშების დიდ რაოდენობას; (3) არადოკუმენტირებული მუშების განმეორებით გამოყენებას; (4) ექსპლუატაციის მნიშვნელოვან ფორმებს. თუმცა, დირექტივა წინასწარ არ ითვალისწინებს სპეციალურ „ნებართვებს“ იმიგრანტი მუშებისთვის, რომლებიც ადანაშაულებენ თავიანთ დამსაქმებელს. თუ ნებართვა ჩამოერთმევა (არასრულწლოვანთა ან ექსპლოატაციის შემთხვევაში), პირს აღარ შეუძლია მუაობა და არც ნებართვის გადაკეთება.

ნომერი 286/1998, ცნობილი როგორც *ერთიანი საიმიგრაციო ტექსტი (Testo Unico sull'Immigrazione)*³. ერთიანი საიმიგრაციო ტექსტი მიიღეს 1998 წლის 25 ივლისს და მოიცავს პირველ სრულ კანონს იმიგრაციაზე – კანონი ნომერი 40/1998, იგივე *ტურკო-ნაპოლიტანო* კანონს (მიღებული იქნა 1998 წლის 6 მარტს) და მის შემდგომ განახლებებს, მიღებულებს არა ერთი კანონითა და განკარგულებით (Zanrosso 2013).

ტურკო-ნაპოლიტანო კანონი რჩება იმიგრაციის მთავარ საკანონმდებლო ღერძად. ამ კანონით, პირველად, იტალიის მთავრობა ცხადად ცნობს იმიგრაციას, როგორც სტრუქტურულ ფენომენს და იმიგრანტების საჭიროებას ქვეყანისათვის შრომითი ძალის დანაკლისის საპასუხოდ (Campomori and Caponio 2014). ჯამში ის წარმოადგენს მნიშვნელოვან მცდელობას: (1) დაარეგულიროს იმიგრაციული ნაკადები და თავიდან აიცილოს „არარეგულარული“ იმიგრაცია⁴, (2) იმიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა მათი იურიდიული და სხვა სტატუსების გახანგრძლივებით⁵, (3) მათი ძირითადი სოციალური და პოლიტიკური უფლებების გარანტირება (Zanrosso 2012).

თუმცა 2000-იანი წლებიდან ერთიანმა საიმიგრაციო ტექსტმა განიცადა მოდიფიკაცია რამდენიმე მიმართულებით სამი ინიციატივით: კანონი ნომერი 189/2002 (იგივე Bossi-Fini კანონი) მიღებული 2002 წლის 30 ივლისს და კანონები ნომერი 125/2008 და 92/2009 (იგივე Pacchetto Sicurezza, პირდაპირი მნიშვნელობით: უსაფრთხოების პაკეტი) მიღებული შსაბამისად 2008 და 2009 წლებში. შეიმჩნევა, რომ ამ ახალი კანონმდებლობით იტალიამ კურსი შეცვალა უსაფრთხოებისკენ,

რამაც გაართულა იმიგრანტების ინტეგრაცია და მათი უფლებების გარანტირება (Cappiali forthcoming 2017).

ქვემოთ წარმოვადგენთ იტალიის კანონმდებლობის ძირითადი ასპექტების მიმოხილვას იმიგრაციაზე და მის შედეგებს არა ევროკავშირელი იმიგრანტების უფლებებზე.

1.1 ერთიანი საიმიგრაციო ტექსტის მიმოხილვა

ერთიანი ტექსტი რჩება *ტურკო-ნაპოლიტანო* კანონის მთავარ სტრუქტურად და მიემართება ინტერვენციის სამ ძირითად სფეროს: შიდა ნაკადების დაგეგმვა, არარეგულარული იმიგრაციის პრევენცია, ეკონომიური და სოციალური ინტეგრაცია (Zanrosso 2012; *ერთიანი ტექსტის* ძირითადი სექციების შესაჯამებლად იხილეთ ჩანართი 2). პირველ რიგში, კანონი არეგულირებს მიზეზებსა და პირობებს არა ევროკავშირელი იმიგრანტის ქვეყანაში მისაღებად, ბინადრობის და სამუშაო ნებართვის (ან სამუშაო ვიზის) მიღების შესაძლებლობას და მიღებისთვის საჭირო მოთხოვნებსა და პროცედურებს (იხილეთ თავი II; იმიგრანტი მუშებისთვისა და მათი ოჯახებისთვის ბინადრობის ნებართვების ძირითადი ტიპების შეჯამებისთვის, იხილეთ დანართი 1). ამასთან ერთად, *ერთიანი ტექსტი* არეგულირებს ხელმისაწვდომობას შრომით ბაზარზე და განსაზღვრავს შრომით გარანტიებსა და დაცვის მექანიზმებს არა ევროკავშირელი იმიგრანტების დისკრიმინაციის წინააღმდეგ (თავი III). იმიგრანტების ოჯახების ხელახლა გაერთიანების (თავი IV) უფლებების დარეგულირების შემდეგ, ის არეგულირებს იმიგრანტების

³ ამ კანონის სრული სახელია *Testo Unico delle disposizioni concernenti la disciplina dell'immigrazione e norme sulla condizione dello straniero* [პირდაპირი მნიშვნელობით: *ერთიანი ტექსტი* იმიგრაციის კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და უცხოელთა მდგომარეობის ნორმებზე]. აქამდე 1980-იანებიდან არსებობდა ორი კანონი იმიგრაციასთან გამკლავების მცდელობაში: კანონი ნომერი 943/1986 და კანონი ნომერი 416/1990 (იგივე Martelli-ის კანონი).

⁴ რაც შეეხება პირველ აზრს, კანონი ავალდებულებდა ქვეყნიდან არადოკუმენტირებული იმიგრანტების გაძევებას და დროებითი განთავსების ცენტრების (CPT *Centri di Permanenza Temporanea*) შექმნას იმ უცხოელთათვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო მაშინვე ვერ იქნებოდნენ გაძევებულნი.

⁵ *ტურკო-ნაპოლიტანო* კანონმა დიდი გავლენა იქონია ქვეყანაში მომუშავე იმიგრანტების ინტეგრაციაზე სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის ნახალისებით. სხვა ყველაფერთან ერთად, ის ავალდებულებდა ზომების მიღებას დროებითი სტატუსის უფრო სტაბილურ სტატუსად ქცევის უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის წარმოდგენით (*Carta di Soggiorno*). იმიგრანტებს რომლებიც უკვე დიდი ხანი ცხოვრობდნენ ქვეყანაში ჰქონდათ ბინადრობის და უფრო სტაბილური სტატუსის ნებართვა, შესაბამისად ყველა იმ სოციალურ უფლებებზე მიუწვდებოდათ ხელი რაზეც იტალიელებს. გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა გააუმჯობესა ეკონომიკური ჩართულობაც, რადგანაც მისცა იმიგრანტ მუშებს მეტი უფლებები და იმის შესაძლებლობა, რომ მათი სტატუსი არ ყოფილიყო ნებართვაზე დამოკიდებული. ამასთან ერთად, კონკრეტული დაფინანსების პროგრამის შექმნით კანონმა გააუმჯობესა ოჯახების ხელახლა დაახლოების პროცესი იტალიაში მცხოვრები და მომუშავე ოჯახებისთვის (Zanrosso 2012, 100).

ჩანართი 2/იმიგრაციის ერთიანი ტექსტის შინაარსი

თავი I – ძირითადი პრინციპები (მუხლები 1-3)

თავი II – ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლათან, დარჩენასთან და გაძევებასთან დაკავშირებული პირობები (მუხლები 4-20)

თავი III – შრომასთან დაკავშირებული საკითხები (მუხლები 21-27)

თავი IV – ოჯახის გაერთიანებასთან კავშირებული უფლებები და არასრულწლოვანთა დაცვა (მუხლები 28-33)

თავი V – პირობები დაკავშირებულნი უფლებებთან ჯანდაცვაზე, განათლებაზე, დასახლებაზე, საზოგადოებრივ ჩართულობასა და სოციალურ ინტეგრაციაზე (მუხლები 34-46)

თავი VI – დასკვნითი ნორმები (მუხლები 47-49)

შენიშვნა: საბოლოო ცვლილებები დოკუმენტში შევიდა 7 ივლისსა და 29 ოქტომბერს 2016 წელს⁶.

ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ რამდენიმე ასპექტს, მათ შორის უფლებას ჯანდაცვაზე, განათლებაზე, ბინადრობაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობასა და სოციალურ ინტეგრაციაზე. ბოლო ნაწილი არა ევროკავშირელი იმიგრანტების პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებების განმარტება (თავი V).

1.1.1 პირობები შესვლასა და კონკრეტული დასაქმებების ხელმისაწვდომობაზე

ერთიანი ტექსტი არეგულირებს არა-ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის პირობებს ქვეყანაში შესვლასა და კონკრეტული დასაქმებების ხელმისაწვდომობაზე (თავი II და III). იმიგრანტი მუშების რაოდენობას იტალიაში განსაზღვრავს „კვოტა სისტემა“, რომელიც დასაქმების ძირითადი კატეგორიებით ყოველ წელს აწესებს მისაღები იმიგრანტების რაოდენობას. ყოველწლიური კვოტების ეს სისტემა განახლებადია სამ წელიწადში ერთ-

ხელ. მთავრობა ასაჯაროებს შემოსვლის კვოტებს, რომლებიც განსაზღვრულია შრომითი ბაზრის მოთხოვნებით. და დადგენილებების ნაკადით – (*Decreto Flussi*)⁷. ამ კვოტებს განსაზღვრავენ ადგილობრივი და რეგიონული შრომითი ოფისები და დამსაქმებელთა ასოციაციები თითოეულ პროვინციაში და შეიმუშავენ შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მითითებების საფუძველზე, რომელიც პასუხისმგებელია დასაქმებაზე და დასაქმების სიებში დაუსაქმებელად დარეგისტრირებულ იმიგრანტების რიცხვზე.

აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებს აქვთ დიდი როლი იმიგრანტების დასაქმების პროცესში. მათ მოეთხოვებათ მივიდნენ იმიგრაციის გაერთიანებულ სარეგისტრაციოში (*Sportello unico per l'immigrazione*), იმიგრანტების დასაქმებაზე პასუხისმგებელ ადგილობრივ ოფისში და შეიტანონ თხოვნა ბინადრობის ნებართვის მისაღებად დამოკიდებული სამუ-

⁶ სრული დოკუმენტის იტალიურ ენაზე მოძიება შეიძლება მოსამართზე: <http://www.altalex.com/documents/codici-altalex/2014/04/09/testo-unico-sull-immigrazione>.

⁷ იხილეთ იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდი: <http://www.interno.gov.it/it/servizi-line/procedure-flussi> (2017 წლის 5 აპრილი). აღსანიშნავია რომ იმიგრანტებს შეუძლიათ იტალიაში ნებართვის აღება ოჯახის გაერთიანების პროგრამით. თუმცა, ოჯახის გაერთიანებები არ შედის დაგეგმილ კვოტებში. იმიგრანტები ერთწლიანი ნებართვებით დამოკიდებულ, თვით-დასაქმებულ სამუშაოზე, სწავლაზე ან რელიგიურ მიზეზებზე ან ვისაც აქვთ ბინადრობის ნებართვა (*Carta di Soggiorno*) შეუძლიათ გაერთიანება: ა) ქმართან ან ცოლთან, ბ) დამოკიდებულ ბავშვებთან, გ) დამოკიდებულ მშობლებთან (ოჯახების გაერთიანებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1.).

შაოსთვის (მუხლი 22, *ერთიანი ტექსტი*). თუ დამსაქმებელი არ იცნობს პოტენციურ დასაქმებულს მას შეუძლია მოითხოვოს იტალიის მთავრობის მიერ განსაზღვრულ ორმხრივ შეთანხმებებზე დამყარებული ხელმისაწვდომ დასასაქმებელთა სია (მუხლი 22, *ერთიანი ტექსტი*).⁸

იტალიაში მუშაობის მსურველი არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის არსებობს შემოსვლის სხვადასხვა კატეგორიები (დეტალურად, იხილეთ დანართი 1). ქვემოთ წარმოვადგენთ, კვოტებით ხელმისაწვდომ ძირითად სამუშაო ნებართვებსა და მათ მისაღებად საჭირო პირობებს.

(1) *ნებართვა დამოკიდებული სამუშაოსთვის* – ეს ნებართვა იძლევა სამუშაო უფლებას იტალიელ და იმიგრანტ დამსაქმებლებზე. ნებართვის ვადა დამოკიდებულია სამუშაო კონტრაქტის ხანგრძლივობაზე: არა უმეტეს ერთი წელი განსაზღვრული დროის კონტრაქტის შემთხვევაში და 2 წლამდე მუდმივი კონტრაქტის შემთხვევაში. კონტრაქტი შეიძლება განახლდეს იმიგრაციის გაერთიანებულ სარეგისტრაციოში ვადის გასვლამდე და იძლევა უფლებას ნებისმიერ დამოკიდებულ სამსახურზე (მუხლი 22).⁹

(2) *ნებართვა სეზონურ სამუშაოზე* – ნებართვა იძლევა მუშაობის შესაძლებლობას სეზონურ აქტივობებში, როგორებიცაა აგრარული და ტურისტული სექტორები. ეს ნებართვა ვალიდურია 20 დღიდან 9 თვემდე. მისი განახლება შეუძლებელია. მეორე სეზონის შემდეგ, იმიგრაციის გაერთიანებულ სარეგისტრაციოში, იმიგრანტ მუშას შეუძლია სეზონური ნებართვა აქციოს დამოკიდებული სამუშაოს ნებართვად. მოთხოვნა შეიძლება მოხდეს პირის ქვეყანაში დაბრუნების გარეშე (მუხლები 24 და 25).

(3) *ნებართვა სეზონურ, მრავალწლიან სამუშაოზე* – ეს ნებართვა შეიძლება მიეცეთ იმ იმიგრანტ მუშებს რომლებსაც უმუშავი-

ათ ქვეყანაში სეზონურ სამუშაოზე 2 წლის მანძილზე მაინც. ეს საშუი 3 წლიანია და გამოიცემა ყოველ წელს. ამ კონტრაქტის გასახლებლად ეფექტურია დამსაქმებლის მიერ სამუშაოსთან დაკავშირებული მტკიცებულების წარმოდგენა, სეზონური სამუშაოს კვოტების გამოქვეყნებული რიცხვისგან დამოუკიდებლად (მუხლი 24 და 25)

(4) *ნებართვა თვითდასაქმებაზე* – ეს ნებართვა ეძლევათ ავტონომიური მუშაობის მსურველ იმიგრანტებს. ერთადერთი აკრძალვა ისაა, რომ ეს არ უნდა იყოს სამსახური, რომელიც განკუთვნილია იტალიელებისთვის ან ევროკავშირის მოქალაქეებისთვის. პირმა უნდა აჩვენოს, რომ აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი თავისი აქტივობებისთვის.

რეგიონალური და ადგილობრივი სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი

იტალიის საიმიგრაციო კანონმდებლობა ხასიათდება მნიშვნელოვანი რეგიონული და ადგილობრივი ვარიაციებით საინტეგრაციო პოლიტიკის იმპლიმენტაციასა და სოციალურ და პოლიტიკურ უფლებებზე ხელმისაწვდომობის კუთხით (Campomori and Caponio 2013).¹⁰ ის ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტებმა უნდა გაიღონ წვლილი საიმიგრაციო პოლიტიკის ფორმულირებასა და დანერგვაში, უზრუნველყოფს თანამშრომლობას რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებს შორის. პირველს ეკისრება ინტერვენციების დაგეგმვა, მეორეს – კონკრეტული მომსახურებებისა და პროექტების ფორმულირება და დანერგვა მოცემული ინტერვენციების მიხედვით (Campomori and Caponio 2014). *ერთიანი ტექსტი* ასევე ამახვილებს ყურადღებას ქსელებისა და თანამშრომლობების ფორმალიზებასა და გაძლიერებაზე მთავრობასა და დაინტერესებულ მხარეებს შორის, ნაციონალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. კანონი ასევე ქმნის საკოორდინაციო ინსტრუმენტს ადგილობრივ დონეზე საჯარო და ინდივი-

⁸ ეს ორმხრივი შეთანხმებები, მიღებული იტალიისა და არა-ევროკავშირის ქვეყნების მიერ, არეგულირებენ იმიგრანტების შიდა ნაკადებს რომელიმე კონკრეტული ქვეყნიდან რაოდენობის კვოტების დანესებით (მუხლი 21 [5], *ერთიანი ტექსტი*).

⁹ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.interno.gov.it/it/temi/immigrazione-e-asilo/modalita-dingresso/sportello-unico-limmigrazione>.

¹⁰ კანონი აწესებს წლიურ რეგიონულ გეგმებს, რომლებიც საზღვრავენ იმიგრანტების ინტეგრაციის მიზნებს რეგიონულ დონეზე, ამის მისაღწევად ინტერვენციებს, ინსტრუმენტებს და მათი გამოყენების დროს, საჭირო ხარჯებს და რესურსებს.

დეალურ აქტორებს შორის: ტერიტორიული საბჭოები(councils) იმიგრაციისთვის (Consigli Territoriali Immigrazione) (მუხლი 3 [6] და მუხლი 42).¹¹ ეს არის პრეფექტებით (Prefetti) მართული ორგანიზაცია, რომლის მოვალეობაა საჭიროებების გაანალიზება და ინტერვენციების გამოკვეთა ადგილობრივ დონეზე. საბჭოების წევრები არიან ადგილობრივი ადმინისტრაცია, დამსაქმებელთა ორგანიზაციები და იმიგრანტების ხელშემწყობი ასოციაციები, როგორებიც არიან პროფესიული კავშირები, არაკომერციული ორგანიზაციები და იმიგრანტების ასოციაციები. ყოფილა ასევე იმიგრანტების ასოციაციების ჩართვის მცდელობაც, თუმცა დიდი წარმატების გარეშე (Mantovan 2007).

ამასთან ერთად, გაიზარდა ადგილობრივი სამოქალაქო პირების როლი პოლიტიკის დანერგვაში, კონსუნტაციასა და გადაწყვეტილებების მიღებაში, როგორც პასუხი მთავრობის მიერ სოციალური პოლიტიკის მესამე სექტორისთვის გადაცემაზე.

კონკრეტულად კი ადგილობრივ დონეზე საეკლესიო ჯგუფებმა, პროფესიულმა კავშირებმა, საუბნო ასოციაციებმა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი სერვისების მიწოდების, კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებების მიღების სისტემაში (Caponio 2006). ბოლო დროს, იმიგრანტულმა ასოციაციებმაც ითამაშეს გარკვეული როლი ამ პროცესებში, მაგრამ იტალიური ორგანიზაციები ხშირად ჩრდილავენ მათ როლს (Caponio 2005).

ერთიანი ტექსტი აკისრებს მნიშვნელოვან როლს მესამე სექტორს, რომელიც წახალისებულია ითანამშრომლოს რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებთან, ასევე იმიგრანტ ასოციაციებთან იმიგრანტებისთვის და მათი ბავშვებისთვის (მუხლები 38 და 39) განათლებასთან, საცხოვრისთან (მუხლი 40)¹² სოციალურ დახმარებასთან (მუხლი 41)¹³

დაკავშირებული აქციების დაგეგმვით და განსაზღვრით. ამასთან ერთად, კანონი ასევე ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას უფლებებზე, შესაძლებლობებზე და მოვალეობებზე ინფორმირებით, ტრენინგებით სოციალური აგენტებისთვის და იმიგრანტებისთვის, ინტერკულტურული მედიატორების გამოყენებით, რათა უზრუნველყოს იმიგრანტების ინტერაქცია მიმღებ საზოგადოებაში (მუხლი 42).

1.2 Bossi-Fini კანონი და უსაფრთხოების პაკეტი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, Bossi-Fini კანონმა და უსაფრთხოების პაკეტმა განსაზღვრეს იტალიის იმიგრაციის პოლიტიკის უსაფრთხო კურსის აღება. ამ კანონებმა ყურადღება გაამახვილეს უფრო „სამოქალაქო უსაფრთხოებაზე“, ვიდრე ინტეგრაციაზე და პრიორიტეტი გახდა არარეგულარულ მიგრაციასთან ბრძოლა (Caponio და Graziano 2011). ეს მოხდა საზღვრებთან მიგრაციისა და იტალიის ტერიტორიაზე კონტროლის გაძლიერებით (Triandafyllidou და Ambrosini 2011). „უკანონოდ“ შემოსულების და „არალეგალურად“ დარჩენილების მიმართ „ნოლი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გამო, Bossi-Fini კანონი ავალდებულებდა ფლოტს სანაპირო საზღვარზე კონტროლის გაძლიერებას სამხრეთ იტალიიდან „არალეგალური“ იმიგრაციის თავიდან ასაცილებლად და მოითხოვდა ქვეყანაში შემომავალი თითოეული იმიგრანტისგან თითის ანაბეჭდს. მან ასევე გაზარდა კონტროლი იტალიის ტერიტორიაზე პრეფექტურისა და პოლიციის გაძლიერებით (Ambrosini 2013b). ამასთან ერთად Bossi-Fini კანონმა გაზარდა სანქციები არადოკუმენტირებულ გაძევებულ იმიგრანტებზე: მან გაძევებიდან შემოსვლა აკრძალა 5-დან 10 წლამდე (მუხლი 14). ამავე დროს, ფორმალურად უცვლელი დარჩა ინტეგრაციის პოლიტიკასთან დაკავშირებული ნორმები (Zanrosso 2012). De Facto, თუმცა,

¹¹ De Facto, წლების მანძილზე, გახდნენ მარგინალური იმიგრანტების ინტეგრაციის პოლიტიკაში. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური გვერდი: <http://www.prefettura.it/roma/contenuti/4927.htm> (მესული 2017 წლის 5 აპრილს).

¹² ეს უფლება გარანტირებულია იმ იმიგრანტებისთვის, ვისაც აქვთ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა ან carta di soggiorno ან ვისაც აქვთ 2 წელზე დიდი ხნის ნებართვა და რეგულარული სამსახური(მუხლი 40[6]).

¹³ იმ იმიგრანტებს, ვისაც აქვთ გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა ან ერთ წლიანი მაინც, ასევე არასრულწლოვნებს, რომლებიც დამოკიდებული არიან ნებართვებზე აქვთ იგივე უფლებები, რაც იტალიელ მოქალაქეებს სოციალური დახმარების მისაღებად, არა მარტო მომსახურებების, არამედ ეკონომიური მხარდაჭერის კუთხითაც.

გააუქმა ტურკო-ნაპოლიტანო კანონის მიერ შემოღებული მრავალი ინიციატივა „უბრალო“ შემოსვლისა და გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მიღების უზრუნველყოფაში და ასევე დაჩრდილა რამდენიმე მნიშვნელოვანი საინტეგრაციო პრობლემა (Zanrosso 2012: 102).

Bossi-Fini-ის ძირითადი ინტერვენციები უკავშირდება ერთიანი ტექსტის თავი II-ს, რომელიც ამახვილებს ყურადღებას „შესვლის დისპოზიციაზე, ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენასა და გაძევებაზე“. ძირითადი ცვლილებებია:

(1) არა ევროკავშირელ იმიგრანტებს შეუძლიათ ქვეყანაში შესვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამსაქმებელი შეიტანს კონკრეტულ მოთხოვნას მუშაკებზე ერთ-ერთ ახლად შექმნილ ადგილობრივ იმიგრაციის ცენტრში და არა ევროკავშირელ იმიგრანტებს სამუშაო მოძიებული უნდა ჰქონდეთ ჩამოსვლამდე, მათ არ შეუძლიათ სამუშაო ვიზის აღება იტალიაში სამუშაოს მოსაძებნად.

(2) ამისთვის კანონმა შემოიღო „დამოკიდებული სამსახურისთვის ბინადრობის კონტრაქტი“ (*Contratto di soggiorno per lavoro subordinato*), რომელიც განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის და სამუშაო კონტრაქტის იგივეობას, უკანასკნელის ამონაწერისას იმიგრანტმა უნდა დატოვოს ქვეყანა (Article 5-bis). მაშასადამე, ამ შეთანხმებით, სამუშაო ნებართვა გაიცემა თუ პირს აქვს სამუშაო და ბინადრობის ადგილი და თუ დამსაქმებელს შეუძლია მისი დაბრუნების გარანტირება სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში.

(3) კანონი აუქმებს ლეგალური შესვლის მექანიზმს, ცნობილს როგორც „დასპონსორება“. ამ მექანიზმით ტურკო-ნაპოლიტანო კანონმა დაადგინა პერსპექტიული მიგრანტებისთვის ქვეყანაში შემოსვლის უფლება ერთი წლით სამუშაოს მოსაძებნად, იმ შემთხვევაში თუ იტალიის მოქალაქეები, იმიგრანტები ვალიდური საშვებით, არა-სამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი ინსტიტუციები „დაასპონსორებდნენ“ მის დღიურ ხარჯებსა და პოტენციურ დაბრუნებას წარმოშობის ქვე-

ყანაში. მაშასადამე Bossi-Fini კანონის მიერ დადგენილი დასპონსორება იმიგრანტებისთვის მათ ჩამოსვლამდე სამუშაო კონტრაქტის გარეშე უკვე შეუძლებელია.

(4) კანონმა უფრო მერყევი გახადა იმიგრანტი მუშების სტატუსი პირველი გაცემის დარჩენის ვადის ორი წლიდან ერთამდე შემცირებით და გასაახლებელი ვადის ოთხი წლიდან ორ წლამდე შემცირებით. სამუშაო ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ იმიგრანტებს ჰქონდათ ექვსი თვე სამუშაოს მოსაძებნად. თუ ვერ იპოვიდნენ მაშინვე უნდა დაეტოვებინათ ქვეყანა.¹⁴ მან ასევე გაზარდა გრძელვადიანი ნებართვის (*Carta di Soggiorno*) მოთხოვნის შეტანამდე საჭირო დრო ხუთიდან ექვს წლამდე (მუხლი 9). ამასთან ერთად Bossi-Fini კანონმა შეცვალა ერთიანი ტექსტის თვი III, რომელიც ეხება „შრომის დისციპლინას“. კერძოდ, ახალი კანონი ავალდებულებს დამსაქმებელს, თავის ქვეყანაში მცხოვრები პერსპექტიული იმიგრანტი მუშის, რომელსაც სურს იტალიაში მუშაობა, შერჩევას იტალიის საელჩოს მიერ შედგენილი სიიდან (მუხლი 22[3]).

ზემოთხსენებულ ცვლილებებთან ერთად, 2008 და 2009 წელს მიღებულმა დაცვის პაკეტმა მიიღო არალეგალური შესვლისა და დარჩენის დანაშაული, დასჯადი 5000-დან 10000-მდე ევროთი (მუხლი 10-bis). კანონმა ასევე გაზარდა პოლიციის მანდატი საზღვრებთან „არარეგულარული“ იმიგრანტების ქვეყანაში შემოსვლის შესაჩერებლად და მიიღო ახალი ზომები „არარეგულარულ“ სიტუაციაში მხილებულთა სასწრაფო გაძევებისთვის (მუხლი 10-bis [2-5]). ამასთან ერთად გაიზარდა შიდა კონტროლი, რადგან იმიგრანტისგან მუდმივად მოითხოვება ბინადრობის ან მოქალაქეობის წარმოდგენა (Zanrosso 2012: 117-118).

იტალიის ამჟამინდელ კანონმდებლობას იმიგრაციაზე აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები ქვეყანაში მცხოვრები, როგორც „რეგულარული“ ასევე „არარეგულარული“ იმიგრანტების უფლებებისთვის. შემდეგ ნაწილში, წარმოვადგენთ ამ კანონების შედეგების შეჯამებას არა ევროკავშირელი იმიგრანტების უფლებებისთვის.

¹⁴ ექვსთვიანი მოთხოვნა გაიზარდა ერთ წლამდე 2012 წელს.

1.3 იტალიის კანონმდებლობის შედეგები იმიგრაციაზე არა ევროკავშირიელი იმიგრანტების უფლებებზე

მრავალმა აკადემიურმა კვლევამ, არა სამთავრობოების ანგარიშებმა და პროფესიულმა კავშირებმა აჩვენეს, რომ იტალიის კანონმდებლობა უარყოფითად მოქმედებს არა ევროკავშირიელი იმიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახების უფლებებზე. უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილებით და „არარეგულარულ“ იმიგრაციაზე რეპრესიით (Caponio და Graziano 2011), კანონმდებლობას აქვს უარყოფითი შედეგები როგორც „რეგულარული“ ასევე „არარეგულარული“ იმიგრანტების უფლებებისთვის. ქვემოთ ვაჯამებთ ძირითად ასპექტებს:

(1) იტალიის კანონმდებლობა იმიგრაციაზე გააკრიტიკეს „ინსტიტუციური ხარვეზების“ (irregularity) შექმნისთვის. ექსპერტებმა მიუთითეს იმაზე, რომ არა მარტო მუდმივი ლეგალური სტატუსის მიღებაა რთული, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში იგივე კანონმდებლობა აჩენს „ხარვეზს“. მაგალითად ანკიკა კოსიკის და ანა ტრიანდაფილიდუს (2005:12) მიხედვით არსებობს შეუსაბამობა დაგეგმილ კანონიერ კვოტებსა და უცხოური შრომის მოთხოვნას შორის. არა ევროკავშირის ქვეყნებიდან იმიგრაციაზე წახვრითან ერთად, ეს ფაქტორი ზრდის „არადოკუმენტირებული“ იმიგრანტების რიცხვს. პრობლემები მოყოლებულია ტურკო-ნაპოლიტანო კანონიდან. ზინკონე, ფასანის ციტატა(2009: 16-17) რომელიც ხსნის „იტალიის შრომით ბაზარზე კანონიერი შესვლის ადეკვატური შესაძლებლობების ნაკლებობას – „...უკანონო შესვლის წინა კარის ჩაკეტვისა და უკანა კარის ნახევრად ღია დატოვების პოლიტიკამ...“ (Zincone 1998) – დიდი როლი ითამაშა არადოკუმენტირებული აქციებისა და ნაკადების გაზრდაში.“ მცდელობის მიუხედავად Bossi-Fini კანონმა ვერ შეძლო „ხარვეზის“ გამოსწორება. პირიქით, Bossi-Fini კანონის

მიერ სამუშაოსა და ბინადრობის უფლებების დაკავშირებამ, ასევე კვოტებსა და შრომით მოთხოვნებს შორის შეუსაბამობამ, დღემდე გააგრძელა ხარვეზის შექმნა (Triandafyllidou and Ambrosini 2011: 264).¹⁵

(2) ბინადრობის ნებართვის ვადის შემოკლებითა და სამუშაო ნებართვაზე მოთხოვნების გაზრდით, Bossi-Fini კანონმა გააძლიერა ბიუროკრატიული ტვირთი, რამაც იმიგრანტები აქცია „ადმინისტრაციის მძევლებად“ (იხილეთ ასევე Caponio et al. 2012: 3). Caponio et al. (2012: 4) ხსნის რომ ერთნაირი ნებართვის გაცემის შეყოვნება (ერთ წლამდე) ქმნის ხელახლა გასაახლებელი საშვების პარადოქსს, რადგანაც ისინი ვადაგასულები არიან (ან მალე იქნებიან). ეს იმას ნიშნავს, რომ იმიგრანტები ქვეყანაში რეგულარული სტატუსის შესანარჩუნებლად არიან დამოკიდებულნი ბიუროკრატიაზე. თავის მხრივ, ამას აქვს უარყოფითი საზოგადოებრივ-ეკონომიკური შედეგები. იმის მიუხედავად, რომ იმიგრანტებს აქვთ დოკუმენტებზე მოთხოვნის შეტანის დამადასტურებელი საბუთი, მათთვის მრავალი კარი მაინც დაკეტილია. ნებართვის გარეშე პირი ვერ დასაქმდება ან მოითხოვს სუბსიდიასა თუ სოციალურ სარგებელს. ამასთან ერთად, იმიგრანტები ნებართვის ლოდინისას არიან „შეჩერებულნი“: მათ არა აქვთ შენგენის ქვეყნებში მუშაობის უფლება (რაც მათი უფლებაა სამ თვემდე) და არ შეუძლიათ წარმოშობის ქვეყანაში წასვლა ოჯახის წევრებისა და მეგობრების სანახავად (Caponio et al. 2012: 4). ავტორები აღნიშნავენ, რომ კანონი ართულებს „რეგულარული“ იმიგრანტებისთვის ძირითად მომსახურებებზე ხელმისაწვდომობას, რადგანაც სოციალური მუშაკები არ არიან კარგად მომზადებულნი და ინფორმირებულნი უკანასკნელ ადმინისტრაციულ ცვლილებებზე და შესაბამისად არ შეუძლიათ საბაზისო ინფორმაციის მონოდება ამ საკითხზე. ნამდვილი პრობლემა ისაა, რომ იტალიაში საჯარო მუშაკებისთვის შეუძლებელია „თვალყურის დევნება ნორმე-

¹⁵ რადგანაც იტალიის კანონმდებლობამ გართულა რეგულაციები, იმიგრანტები ქვეყნის შემოსვლის შემდეგ ცდილობენ რეგულარიზაციას რიგი რეგულაციებისა და ამნისტიების საშუალებით. კოსიკი და ტრიანდაფილიდუ (2005:9) აღნიშნავენ, რომ ყოველწლიური კვოტები „იქნენ გამოყენებულნი იტალიაში მცხოვრები და მომუშავე არადოკუმენტირებული იმიგრანტების მიერ ლეგალური სტატუსის მისაღებად“. ისინი ხსნიან, რომ მასობრივი რეგულარიზაცია იქნა ადაპტირებული „წრიული გზით, რომელიც აძლევდა არადოკუმენტირებულ იმიგრანტ მუშებს იტალიაში [...] საშვზე განცხადების შეტანის უფლებას, თუ მათი დამსაქმებლები იყვნენ მზად რთული ბიუროკრატიული პროცედურების გასაწვდომად“ (Ibid). თუმცა, როგორც კალავიტა (2005b: 413) აღნიშნავს, ეს რეგულარიზაციები არ აგვარებენ არარეგულარულ იმიგრაციასაც. ამის გამო, არადოკუმენტირებული იმიგრანტების დიდმა რაოდენობამ გამოიწვია განმეორებადი რეგულარიზაციის პროგრამები.

ბის, ცირკულარების და ახსნითი ჩანაწერების დიდ რიცხვზე, რომლებიც გამოყენებულია სტრუქტურული ელემენტის სამართავად [...] დროებითობის პერსპექტივითა და დაგეგმვით, რომელიც ექსკლუზიურად უკავშირდება სამსახურის შესრულებას“ (Caponio et al. 2012: 5).

(3) კანონმდებლობა აძლიერებს იმიგრანტი მუშების ეკონომიურ მარგინალიზაციას. ჯიოვანი კანელა (2010: 41-45) ხაზს უსვამს, რომ იტალიაში არა ევროკავშირელი მუშების მერყევ იურიდიულ სტატუსს აქვს გავლენა არა მარტო არარეგულარულ იმიგრანტებზე, არამედ რეგულარულზეც. Bossi-Fini კანონის მიერ დარჩენისა და მუშაობის ნებართვების ძლიერმა კავშირმა გახადა იმიგრანტები უფრო დაუცველები, რადგანაც დამსაქმებელს შეუძლია მათი მარტივად შანტაჟირება და ექსპლოატაცია.

(4) იმიგრანტების „საფრთხედ“ და „კრიმინალებად“ მონათვლით, იტალიაში ისინი ექვემდებარებიან შევიწროებას ნაციონალიზებით, კრიმინალიზებით და დამცირებით. ეს ხდის განსხვავებული სტატუსის მქონე იმიგრანტებს დაუცველებად და ახდენს მათ სტიგმატიზაციას. ამასთან ერთად, ზოგიერთი იმიგრანტის ყოფნა არის ორაზროვნად გამართლებული მხოლოდ ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებისთვის, კონკრეტულად კი შინამოსამსახურეები (ეგრეთწოდებული *Colf e badanti*), მაშინ როცა მრავალი სხვა იმიგრანტი მუშა არ არის მიჩნეული იტალიაში დარჩენის ღირსად (Meli and Enwereuzor 2003: 23). ამის შედეგად, მაშინ როცა თანამედროვე კანონმდებლობა აგებულია „რეგულარული“ იმიგრანტების ეკონომიკური გამოყენების გარშემო, ის ზღუდავს ოჯახურ გაერთიანებებსა და ქვეყანაში ბინადრობის ან გრძელვადიანი ნებართვისთვის საჭირო პირობებს ((Pastore 2010: 66).

(5) ამჟამინდელი კანონმდებლობა გავლენას ახდენს იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე. იმის მიუხედავად, რომ Bossi-Fini კანონმა პირდაპირ არ შეცვალა ერთიან ტექსტში იმიგრანტების ჯანდაცვაზე მიმართული თავები, მან შემოიღო იმიგრანტების ჯანმრთელობაზე მოქმედი რამდენიმე „პათოგენური ელემენტი“ (SIMM 2002). კანონს აქვს

უარყოფითი გავლენა მათ ჯანმრთელობაზე, მათი დაქვემდებარებით შანტაჟზე, შრომით ექსპლოატაციასა და არასტაბილურ ცხოვრებაზე. „ხარვეზის“ ხელშეწყობით კანონი იმიგრანტების ჯანმრთელობას აყენებს საფრთხის ქვეშ, რადგანაც პირის ლეგალური სტატუსი გახდა ძირითადი „განმსაზღვრელი იმიგრანტების ჯანმრთელობისთვის“ (Rechel et al. 2013). ამასთან ერთად, ოჯახის გაერთიანების შეზღუდვით კანონი ახდენს უარყოფით გავლენას იმიგრანტების ემოციურ სტაბილურობაზე, გონებრივ, ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე და ხელს უშლის გრძელვადიან მიგრაციულ პროექტებს. საბოლოოდ, უსაფრთხოების პაკეტმა დაავალდებულა ჯანდაცვის მუშაკები, რომ არადოკუმენტირებული მიგრანტების შესახებ შეეტყობინებინა პოლიციისთვის. ამ შემთავაზებამ გამოიწვია ჯანმრთელობის მუშაკების, ასოციაციების, არასამთავრობოების, პროფესიული კავშირებისა და რამდენიმე რეგიონისა და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული ნაციონალური მობილიზაცია, სახელად 'Io non denuncio' (პირდაპირი მნიშვნელობით: მე არ ვიტყობინები/ვუშვებ), რამაც გამოიწვია მუხლის კანონიდან ამოღება. ამის მიუხედავად, შემთავაზებამ გამოიწვია არადოკუმენტირებულ მიგრანტებში შიში და ეჭვი, რამაც შეამცირა მათი ნდობა ჯანდაცვის სისტემის მიმართ და შესაბამისად შეზღუდა მათი კონკრეტული ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე.

საბოლოოდ, 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა დაუმატა პრობლემები არა ევროკავშირელი იმიგრანტების ისედაც რთულ ვითარებას. მხოლოდ ისინი არ იყვნენ პირველები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური – და მასთან ერთად ბინადრობის და ბინადრობის ნებართვა – არამედ ახლა ყველაზე მეტად არიან მიჩნეულნი საფრთხედ იტალიური საზოგადოებისთვის, რაც იწვევს მათზე ზენოლას ინსტიტუციური დისკრიმინაციით, რასიზმით და ექსპლოატაციით. უმუშევრობით გამოწვეული არადოკუმენტირებული იმიგრანტების რიცხვის ზრდის თავიდან ასაცილებლად, იტალიის მთავრობამ 2012 წელს მიიღო კანონი ნომერი: 92/2012, რომელიც ექვსი თვიდან ერთ წლამდე ზრდის იტალიაში ყოფნის ვადას სამსახურის მოსაძიებლად, იმ იმიგრანტებისთვის რომლებმაც დაკარგეს სამსახური. როცა იმიგრანტი კარგავს სამსახურს, მას აქვს 40 დღე, რათა ჩაენეროს დასაქმების ოფისში

(Centro per l'Impiego) და მოითხოვოს დროებითი ბინადრობის ნებართვა (*Permesso di soggiorno per attesa occupazione*) პოლიციის შტაბ-ბინაში (headquarter) (Questura).

აღსანიშნავია ისიც, რომ უსაფრთხოების ინტერვენციები ჩვეულებრივ შემოთავაზებული და მიღებულია მარჯვენა ფრთის მთავრობების მიერ, მათ შორისაა ჩრდილოეთის ლიგა (Lega Nord), იტალიის ქსენოფობიური, ანტი-ევროპული და პოპულისტური პარტია. 2013 წლიდან ქვეყანას მართავს მარცხენა ფრთის უმრავლესობა, რომლის ინტერვენციები ნაკლებად მკაცრია იმიგრანტების მიმართ, იმის მიუხედავად რომ Bossi-Fini კანონი არ შეცვლილა. თუმცა მარცხენა ფრთის ლიდერებში 2016 წლის დეკემბრის ცვლილებებს, როგორც ჩანს თან ახლავთ უსაფრთხოებისკენ გადახვევა. ეგრეთ წოდებული Minniti-Orlando დადგენილებებით, 2017 წლის 12 აპრილს, იქნა მიღებული ორი ახალი ინტერვენცია იმიგრაციასა და უსაფრთხოებაზე. თუმცა მისი მთავარი ყურადღება მიმართულია თავშესაფრების პრობლემებზე, პირველი ინტერვენცია მიზნად ისახავს 6, ხშირად გადატენილი, სულ 600 ადამიანის დატევის CIE-ის (Centri di Identificazione ed Espulsione – არადოკუმენტირებული იმიგრანტების ამოცნობისა და გაძევების ცენტრების) ჩანაცვლებას უფრო პატარა, თითოეული 100 კაცის ტევადობის 18 CPR-ით (Centri di Permanenza per il Rimpatrio-რეპატრიაციამდე განთავსების ცენტრები), რომლებიც განლაგდებიან აეროპორტებთან ურბანული ცენტრებიდან შორს. მთავრობის მიზანია დეპორტაციის დაჩქარება. მეორე ინტერვენცია ეხება უსაფრთხოების პრობლემებს. კონკრეტულად კი, ზრდის მერების უფლებამოსილებას და წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ 'diaspo urbano'-ს მექანიზმს, რომელიც უფლებას აძლევს მერებს პრეფექტთან და პოლიციასთან ერთად გააძევოს ადამიანები ტერიტორიიდან განგრძობითი უკანონო ქმედებებისას (მათ შორის არალეგალური ქუჩის ვაჭრობა, პარკირების ადგილებში უკანონოდ საქმიანობა, მიწისა და საკუთრების უკანონო დაკავება). აქედან გამომდინარე, უსაფრთხო და კრიმინალური მიდგომა იმიგრაციისადმი – და არარეგულარული მიგრაციისადმი კერძოდ – წარმოადგენს იტალიის იმიგრაციის ნაციონალური ინტერვენციების ძირითად, თუ არა ერთ-ერთ მთავარ ფოკუსს.

2. შრომითი გარანტიები და ანტი-დისკრიმინაციული და ანტი-ექსპლუატაციური ზომები

2.1 დისკრიმინაცია და ექსპლუატაცია იტალიის შრომით ბაზარზე

იტალიაში ფართოდაა გავრცელებული იმიგრანტი მუშების ექსპლუატაცია და უფლებების დარღვევა (Allasino et al. 2013; Amnesty International 2012; IOM 2010; Ragusa 2011). აღინიშნება მუშახელის ნამდვილი სეგრეგაციის სისტემა, რადგანაც იმიგრანტი მუშების უმეტესობა შრომითი ბაზრის ყველაზე დაბალ დონესაა მიბმული (Calavita 2005). (2014:20-22) OECD-ის მიხედვით 2012 წელს რეგულარული იმიგრანტების 31-დან 40 პროცენტამდე იყო დასაქმებული არაკვალიფიციურ, ნახევრად კვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოზე, განსხვავებით ადგილობრივი იტალიელების 15 პროცენტისგან. კონკრეტულად, იმიგრანტები ძირითადად დასაქმდებიან არიან აგრარულ, სამშენებლო და საოჯახო სექტორში, ასევე ქუჩის ვაჭრობაში, მცირე ზომის წარმოებასა და ურბანულ მომსახურებებში (OECD 2014). 2012 წელს ვალიდური სამუშაო ნებართვის მქონე იმიგრანტების 57 პროცენტი დასაქმებული იყო მომსახურების სექტორში, 29.6 პროცენტი ინდუსტრიულ სექტორში და 8.5 პროცენტი აგრარულ სექტორში. მომსახურების სექტორში მათ ასაქმებენ კერძო პირები მომვლელებად ან შინამოსამსახურებად და ისინი საქმეებიან ისეთ ბიზნესებში, როგორებიცაა რესტორნები და სასტუმროები. ინდუსტრიულ სექტორში ისინი საქმეებიან მშენებლობასა და წარმოებაში (OECD 2014: 20). 7-8 პროცენტი იმიგრანტები არიან თვითდასაქმებულნი მცირე ბიზნესებში (OECD 2014).

ამგვარი სამუშაოები ძალიან შრომატევადია და ახასიათებთ დაბალი პროდუქტიულობა და ზრდის დონე. ამის გამო დამსაქმებლებს სურთ შემოსავლის გაზრდა იმიგრანტების დაქირავებით, რომლებსაც შესაძლებელია ნაკლები გადაუხადონ ვიდრე „ადგილობრივ“ იტალიელ მუშებს. ამასთან ერთად ეს სამუშაოები ნაკლებად დაცული და გამჭვირვალეა, რაც დამსაქმებლებს იმიგრანტი მუშების ჩაგვრისა და ექსპლუატაციის საშუალებას აძლევს

(Adler, Tapia and Turner 2014). საბოლოოდ, ეს სამსახურები ხელს უწყობენ არაფორმალურ ეკონომიკას, რაც უადვილებს დამსაქმებლებს არადოკუმენტირებული იმიგრანტების დასაქმებას. იტალიას აქვს ერთ-ერთი უდიდესი არაფორმალური ეკონომიკა დასავლეთ ევროპაში, რომლის წევრებიც არიან როგორც დოკუმენტირებული, ასევე არადოკუმენტირებული იმიგრანტები (Reyneri 2001).¹⁶

ამ ტრენდების შეცვლა რთულია, რადგანაც დამსაქმებლისთვის სასარგებლოა არაფორმალურ ეკონომიკაში იმიგრანტების დაქირავება, თან იმიგრანტების შანტაჟი მარტივია კანონმდებლობის გამო, რომელიც მათ ოდნავ თუ იცავს. მრავალ დამსაქმებელს ურჩევნია დაითხოვოს მუშა, ვიდრე დაეხმაროს მას რეგულარულ მუშაში. როგორც ემილიო რეინერი (2001) ხსნის, მრავალი დამსაქმებლისთვის ხარჯების შემცირების ერთადერთი გზა არის არარეგულარულ ბაზისზე მუშების დაქირავება, დამსაქმებლები ზოგავენ ფულის დიდ რაოდენობას სოციალური დაცვისა და შემოსავლების გადასახადების გადახდის თავიდან აცილებით. ამასთან ერთად, არარეგულარული სამუშაო იძლევა უფრო მოსახერხებელ სიტუაციას დროის განრიგისა და მუშების დათხოვის კუთხით. ამ კონტექსტში, არაფორმალური ეკონომიკა აგრძელებს არსებობას იმის გამოც, რომ იტალიაში დამსაქმებლებისთვის შედეგებისა და სანქციების საფრთხის დონე ხშირად დაბალი იყო (Barbagli et al. 2004: 15).

უკანასკნელმა კვლევამ აჩვენა, რომ ვითარება დასაქმების მხრივ არაფორმალურ ეკონომიკაში ბოლო წლებში გაუარესდა, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგად (Allasino et al. 2013). იტალიაში 2008 წლიდან 2010 წლამდე იმიგრანტებში უმუშევრობის დონე გაიზარდა 6.9-დან 13 პროცენტამდე (Salis 2012:9). ამ ტრენდებმა დაასუსტეს იმიგრანტები და გაზარდეს მათი დასაქმება არაფორმალურ ეკონომიკაში. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და პროფესიულმა კავშირმა ბოლო წლებში ამხილა იტალიის არაფორმალურ ეკონომიკაში არსებული ექსპლოატაციის მაღალი დონე (IOM 2010; Amnesty International 2012).

2.2 კანონიერი ინსტრუმენტები დისკრიმინაციისა და შრომითი ექსპლოატაციის წინააღმდეგ

ერთიანი ტექსტი აწესებს უფლებებს შრომით ბაზარზე არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის, ასევე მათ დაცვასთან დაკავშირებულ ასპექტებს დისკრიმინაციისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ (თავი III). თუმცა როგორც რეინერი (2001:31) აღნიშნავს იმიგრანტის შრომითი უფლებების დასაცავად, უნდა გვესმოდეს, რომ იმიგრანტები შეიძლება აღმოჩნდნენ სამ განსხვავებულ სიტუაციაში: (1) იმიგრანტებს აქვთ ვალიდური ბინადრობის ნებართვა სამუშაო მიზეზების გამო და რეგულარული სამუშაო კონტრაქტი; (2) იმიგრანტებს აქვთ ვალიდური ბინადრობის ნებართვა სამუშაო მიზეზების გამო, მაგრამ დასაქმებულნი არიან არაფორმალურ ეკონომიკაში; (3) იმიგრანტები არიან არადოკუმენტირებულნი და საქმეებიან არაფორმალურ ეკონომიკაში. თუმცა არსებობენ რეგულაციური ფორმალური დაცვის ზომები სამუშაო ნებართვის მქონე იმიგრანტისთვის, ისინი ძალიან ცოტაა არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. პირველ რიგში, ანტიდისკრიმინაციული ზომები განკუთვნილია მხოლოდ რეგულარულად მყოფი იმიგრანტებისთვის. მეორე, თუმცა ზომები ექსპლოატაციისგან დასაცავად ფორმალურად გარანტირებულია არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვისაც, ისინი ვინც *de facto*-ს ეწინააღმდეგებიან აქვთ ძალიან მწირი დაცვა და ხშირ შემთხვევაში დეპორტაციის საფრთხე.

სამუშაო ნებართვის მქონე არაევროკავშირელ იმიგრანტებს აქვთ იტალიელ მუშებთან თანაბარი მოპყრობის უფლება ერთი და იმავე შრომით ვითარებაში. ერთიანი ტექსტი აწესებს ძირითად გარანტიებს იტალიაში იმიგრანტი მუშებისთვის, კონკრეტულად კი ის ეხება დასაქმებას მეორე მუხლში. (პარაგრაფი 2). ეს მუხლი უბრუნდება 1975 წლის 24 ივნისის ILO კონვენცია ნომერი: 143-ს, რომელიც ეხება იმიგრანტ მუშებსა და მათ ოჯახებს და უზრუნველყოფს მათთვის თანაბარ მოპყრობასა და უფლებებს. ერთიანი ტექსტი ამ თემაზე,

¹⁶ დასაქმება არაფორმალურ ეკონომიკაში გავრცელებულია არა მარტო არადოკუმენტირებულ იმიგრანტებში არა ევროკავშირის ქვეყნებიდან, არამედ ევროკავშირის მოქალაქეებშიც, მაგალითად სამშენებლო სექტორში დასაქმებული რუმინელები (OECD 2014).

ენმიანება იტალიის კონსტიტუციას, რომელიც აწესებს: „თანაბარი მოპყრობა და უფლებების სრული თანასწორობა იტალიელ მუშებთან მიმართებაში“ (მუხლი 2[2]). კანონი ასევე, ზრდის იმავე შრომით გარანტიებს ქალი იმიგრანტი მუშებისთვის.

ერთიანი ტექსტი ნათლად იძლევა დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის გარანტიებს მუხლებში 43 და 44. პირველში დისკრიმინაცია განმარტებულია როგორც „ნებისმიერი ქცევა რომელიც პირდაპირ თუ ირიბად იწვევს განსხვავებას, გარიყვას, აკრძალვას თუ უპირატესობას რასის, კანის ფერის, წარმომავლობის, ნაციონალობისა თუ ეთნიკურობის, რელიგიური პრაქტიკის და რწმენის საფუძველზე, რასაც ექნება – თანაბარ გარემოში – პოლიტიკურ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ისევე როგორც სხვა საჯარო სექტორებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ცნობის ან განხორციელების განადგურების ან დაფარვის ეფექტი ან მიზანი“. იგივე მუხლი ეხება იტალიის მუშათა სტატუტის (*Statuto dei lavoratori*) მე-15 მუხლს, რომელშიც მოცემულია დასაქმების ურთიერთობებთან დაკავშირებული პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის აკრძალვა¹⁷. ირიბი დისკრიმინაცია შრომით სექტორში განმარტებულია როგორც: „საქმესთან კავშირის არ მქონე მოთხოვნებით გამოწვეული ნებისმიერი ქმედება, რომელიც ამცირებს მუშების დასაქმების შესაძლებლობას რასის, ეთნიკური და ლინგვისტური ჯგუფის, რელიგიის ან მოქალაქეობის მიხედვით“. იმიგრანტი მუშების დისკრიმინაციისას, 44-ე მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო მოქმედების საჭიროებას. იმიგრანტი მუშებს უფლება აქვთ მიმართონ მოსამართლეს, რომელსაც შეუძლია დისკრიმინაციული ქმედებების შეჩერება და ადეკვატური ზომების გატარების ვალდებულების დაკისრება დისკრიმინაციული ქმედებების აღმოფხვრის მიზნით. დამსაქმებლისგან შეიძლება მორალური ზარალის (*Danno non patrimoniale*) ანაზღაურების მოთხოვნა. კოლექტიური დისკრიმინაციის შემთხვევაში ქმედებები შეიძლება იქნას მიღებული ადგილობრივი პროფესიული

კავშირების მხარდაჭერით (პროფესიული კავშირების როლი იხილეთ ქვემოთ). ამ შემთხვევაში, მოსამართლე ავალდებულებს დამსაქმებელს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის დაგეგმვას.¹⁸

ამასთან ერთად, ბინადრობის ნებართვის მქონე იმიგრანტებისთვის, რომლებიც მუშაობენ არაფორმალურ ეკონომიკაში, შესაძლებელია დამსაქმებელს უჩივლონ და მოითხოვონ დავალიანების ანაზღაურება, დასვენების დღეები და სამსახურეობრივი შვებულებები. არა ევროკავშირელი იმიგრანტების დამსაქმებლები ვალდებულები არიან სამუშაო ურთიერთობაზე ესაუბრონ დასაქმების ოფისს (*Centro per l'Impiego*) ან, თუ სამსახური უკავშირდება საოჯახო სამუშაოს მაშინ ინფორმაცია უნდა მიანოდონ INPS-ს (*Istituto Nazionale di Previdenza Sociale*). არარეგულარულ დასაქმებაში მხილებული დამსაქმებლები იძულებილნი არიან გადაიხადონ ადმინისტრაციული ჯარიმა. თუმცა, ჯარიმების გადახდისგან თავის ასაცილებლად დამსაქმებლები ირიდებენ კომუნიკაციის პროცესს ან ირჩევენ იმიგრანტების დასაქმებას არაფორმალურ ეკონომიკაში. ხშირ შემთხვევაში დამსაქმებლები არადოკუმენტირებულ იმიგრანტებს ასაქმებენ. ამასთან ერთად, იმიგრანტი მუშები ძალიან იშვიათად უჩივიან დამსაქმებლებს, მითუმეტეს ეკონომიკური დეპრესიის პერიოდში, რომლის დროსაც უფრო რთულია სამუშაოს პოვნა. ამასთან ერთად, როგორც ითქვა, იტალიური კანონმდებლობა განსაკუთრებით მკაცრია უმუშევარი იმიგრანტების მიმართ, რაც ამცირებს დამსაქმებლებისადმი ჩივილის ალბათობას (*Cannella 2010*).

არადოკუმენტირებულ იმიგრანტებს შეუძლიათ უჩივლონ დამსაქმებელს ექსპლოატაციის შემთხვევაში. მაგრამ ეს წარმოადგენს დიდ რისკს, რადგანაც მათ არ შეუძლიათ ბინადრობის ნებართვის მოთხოვნა არარეგულარული სამსახურის შემთხვევაში. უარესი არის ის, რომ იტალიურ ადმინისტრაციულ ორგანოებს შეუძლიათ მათზე ჩივილი და დეპორტაცია,

¹⁷ ცნობილი როგორც მუშათა სტატუტი, ტექსტი რომელიც არეგულირებს მუშათა უფლებებს იტალიაში არის კანონი ნომერი: 300/1970.

¹⁸ აღსანიშნავია რომ კანონი აწესებს ამ საკითხებზე რეგონების როლს. არა ევროკავშირელი იმიგრანტების ანტიდისკრიმინაციისთვის, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მესამე სექტორთან თანამშრომლობით, რეგონებისგან მოითხოვება დისკრიმინირებული იმიგრანტებისთვის საინფორმაციო და სადამკვირვებლო ცენტრების და ლეგალური დახმარებების გააქტიურება. ეს ხშირად ხდება იმიგრანტების ასოციაციებთან და მოხალისე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (მუხლი 44[12]).

როგორც ერთიანი ტექსტის მუხლი 10-bis აწესებს, ნებისმიერ იმიგრანტზე შეიძლება ჩივილი „არალეგალური დარჩენისთვის“. გამონაკლის შემთხვევებში იმიგრანტი მუშას შეუძლია მოითხოვოს ბინადრობის ნებართვა სოციალური დაცვისთვის“ (*Permesso di soggiorno per motivi di protezione sociale*). Questura-ს შეუძლია ამ ნებართვის გაცემა „იმიგრანტზე ძალადობის ან ექსპლოატაციის“ და „ჯანმრთელობაზე კონკრეტული საფრთხის“ შემთხვევაში. (მუხლი 18, ერთიანი ტექსტი). ეს ეხება იმიგრანტების მცდელობებს კრიმინალური ორგანიზაციებისგან თავის დასაღწევად და ქალების სექსუალური ექსპლოატაციისგან დამცავ მექანიზმებს იძულებითი პროსტიტუციისას. ამ სიტუაციაში ქალებს ეძლევათ იტალიაში ცხოვრების და შრომით ბაზარზე დაბრუნების შესაძლებლობა. შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულარით (2007 წლის 4 აგვისტო) ერთიანი ტექსტის მე-18 მუხლის დაცვის ზომები გავრცელდნენ იმ იმიგრანტებზე, რომლებიც უფრო ზოგადად არიან ძალადობის და ექსპლოატაციის მსხვერპლი შრომით ბაზარზე. ექსპლოატაციის უმეტესი შემთხვევები „განსაკუთრებით მძიმეა“, როგორცაა მაგალითად ეგრეთ წოდებული „Caporalato“, რაც წარმოადგენს უკანონო დასაქმებას აგრარულ სექტორში. 2016 წლის 29 ოქტომბერს ამ თემაზე მიღებულ იქნა კონკრეტული კანონი (კანონი ნომერი: 199/2016), რათა დაპირისპირებოდნენ არაფორმალურ ეკონომიკას და იმიგრანტების ექსპლოატაციას აგრარულ სექტორში და ექსპლოატირებული იმიგრანტებისთვის მეტი თავდაცვის გარანტიები მიეცათ.¹⁹ თუმცა, სხვა ფორმის არა ძალადობრივი ექსპლოატაციები, როგორებიცაა არარეგულარული დასაქმება შინამოსამსახურებისთვის, რომლებსაც აქვთ დაბალი ხელფასი ან არ აქვთ შვებულებები, ეს შემთხვევები უმეტესწილად ამოვარდნილი არიან კანონიერი დაცვის მექანიზმიდან.

არასამთავრობო ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების მნიშვნელოვანი როლი

იტალიაში პროფესიულ კავშირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ეკისრებათ მნიშვნელოვანი როლი იმიგრანტი მუშების სა-

მუშაოზე დისკრიმინაციისა და რასიზმისგან დაცვაში, რაც ფრაგმენტულია და იშვიათად გარანტირებული საჯარო ხელისუფლების მიერ (Pinto and Enwereuzor 2002). არასამთავრობო ორგანიზაციები ყურადღებას ამახვილებენ იმიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახების უფრო ზოგად ვიდრე შრომით ბაზართან დაკავშირებულ პრობლემებზე. ამის მიუხედავად მათ ეკისრებათ იმიგრანტებისთვის სამუშაო ნებართვის განახლებისა და ბიუროკრატიულ პროცესებში მხარდაჭერის მნიშვნელოვანი როლი (Ambrosini 2013b). არასამთავრობოები არიან ასევე მნიშვნელოვანი მხარდამჭერები და შეუძლიათ ითამაშონ მთავარი როლი ინსტიტუციური დისკრიმინაციის წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება ადგილობრივი ადმინისტრაციებისა და საჯარო მოხელეების მიერ (Ambrosini 2013a; Guariso 2013). თუმცა, პროფესიულ კავშირებს აქვთ საუკეთესო შესაძლებლობა იმიგრანტი მუშების უფლებების დასაცავად და იტალიის შრომით ბაზარზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. რამდენიმე კვლევამ აჩვენა, რა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს პროფესიულმა კავშირებმა იტალიაში იმიგრანტების ინტეგრაციაზე (Mottura and Pinto 1996). მათ იმუშავეს არა მარტო იმიგრანტების, როგორც მუშების დასაცავად, არამედ გარკვეულწილად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იმიგრანტების უფლებების ზოგადად გაუმჯობესებაში (Mottura 2000; Mottura et al. 2010).

შრომითი გარანტიების მხრივ, პროფესიულ კავშირებმა ყურადღება გაამახვილეს იმიგრანტი მუშების უფლებების, როგორც „მუშათა უფლებების“ გარანტირებაზე. ამასთან ერთად, პროფესიულ კავშირების მთავარი აქტივობაა იმ კოლექტიური კონტრაქტების განსაზღვრა, რომლებიც ზოგადად ამახვილებენ ყურადღებას მუშათა ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე. მაშასადამე, მათი მიდგომის სამიზნე არ არის კონკრეტული იმიგრანტი მუშების უფლებების დაცვა სამუშაოზე (Pinto and Enwereuzor 2002). ამის მიუხედავად, პრაქტიკულობის გათვალისწინებით, პროფესიულმა კავშირებმა თანდათან მიიღეს ad hoc ზომები და მომსახურებები ადგილობრივ დონეზე, რომლებიც მიემართე-

¹⁹ კანონის ტექსტისთვის იხილეთ: <http://www.gazzettaufficiale.it/eli/id/2016/11/3/16G00213/sg>

ბა იმიგრანტი მუშების კონკრეტულ საჭიროებებს (*Ibid.*). მაგალითად, მათ უშუამდგლეს კონტრაქტებს, რომლებიც იცავს იმიგრანტი მუშების უფლებებს იმ სექტორებში, სადაც ისინი ყველაზე ხშირად საქმდებიან: შინამეურნეობა, სამრეცხაოები და სამომვლელი კომპანიები. ამასთან ერთად ისინი დაეხმარნენ იმიგრანტ მუშებს სამუშაო ორგანიზებაში. ადგილობრივ დონეზე, ზოგ შემთხვევაში, პროფესიულმა კავშირებმა შეძლეს შიდა საკონსულტაციო ერთეულების გახსნა ბიზნესებში (*the Rappresentanza Sindacale Unitaria – RSU*). ეს ორგნოები შედგებიან კომპანიის წარმომადგენლებისგან და მიზნად ისახავენ იმიგრანტი მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას. ისინი იძლევიან რეკომენდაციებს იმიგრანტების კონკრეტული მდგომარეობების გასაუმჯობესებლად და აქვთ უნარი წარმართონ იმიგრანტი მუშების მდგომარეობის გასაუმჯობესებელი შეთანხმებები სამუშაოზე. ეს შეთანხმებები წარმართება არაფორმალურად პროფესიული კავშირების წარმომადგენლების მიერ შესაბამის ბიზნესში

და შესაბამისად ისინი სხვადასხვა ბიზნესებში განსხვავდებიან.

პროფესიული კავშირების სხვა ინიციატივები იმიგრანტი მუშების კონკრეტული პრობლების გასაუმჯობესებლად: (1) სოციალურ ინტეგრაციაზე ყურადღების გამახვილება (დასახლება და საიმიგრანტო სტატუსი); (2) ენის კურსებისა და პროფესიონალური ტრენინგების უზრუნველყოფა; (3) მოლაპარაკებები დამსაქმებლებთან სპეციალური რელიგიური დღესასწაულებისთვის; (4) თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა არაპრივილეგირებული კატეგორიის იმიგრანტებისთვის; (5) იმიგრანტებისთვის ინფორმაციის შეთავაზება სხვადასხვა ენებზე (*Pinto and Enwereuzor 2002*). ამასთან ერთად პროფესიული კავშირები აწვდიან იმიგრანტ მუშებს ინფორმაციას და სხვა მხარდაჭერ მომსახურებებს. ისინი ძირითადად სთავაზობენ საკონსულტაციო მომსახურებებს შრომის და უფრო ზოგად კანონებზე და აწარმოებენ საინფორმაციო მასალას.

ჩანართი 3/ძირითადი პროფესიული კავშირების და არასამთავრობების სია

CGIL: შრომის გენერალური იტალიური კონფედერაცია (*Confederazione Generale Italiana del Lavoro*)

CISL: პროფესიული კავშირების იტალიური კონფედერაცია (*Confederazione Italiana Sindacati Lavoratori*)

UIL: იტალიის პროფესიული კავშირი (*Unione Italiana del Lavoro*)

CUB: უნიტარული საბაზო კონფედერაცია (*Confederazione Unitaria di Base*)

USB: გაერთიანებული საბაზო კავშირები (*Unione Sindacale di Base*)

ACLI: იტალიელი ქრისტიანი მუშების ასოციაცია (*Associazione Cristiana Lavoratori Italiani*)

Caritas

ANOLF: ნაციონალური ასოციაცია საზღვრებს მიღმა (*Associazione Nazionale Oltre le Frontiere*), რომელიც დაკავშირებულია CISL-თან

APICOLF: იტალიური შინამოსამსახურეების პროფესიული ასოციაცია (*Associazione Professionale Italiana Collaboratori Familiari*), რომელიც დაკავშირებულია Caritas-თან და კათოლიკურ მრევლი

3. უფლება და ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე

იტალიაში ჯანდაცვა განიხილება როგორც საჯარო პასუხისმგებლობა, რომელიც ხორციელდება გადასახადებზე დაფუძნებული რეგიონალიზებული ნაციონალური ჯანმრთელობის მომსახურების მიერ (*Servizio Sanitario Nazionale – SSN*), იგი უზრუნველყოფს უფასო უნივერსალურ დაფარვას შესვლის მომენტიდან. კონკრეტულად, ნაციონალურ დონეზე, ჯანდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს სამწლიან ნაციონალურ ჯანმრთელობის გეგმებს (*Piani Sanitari Nazionali – PSN*), რომლებშიც მოცემულია ნაციონალური გეგმები და პრიორიტეტები ჯანდაცვაზე, მათ შორის ეგრეთ წოდებული ზრუნვის უმთავრესი დონეები (*Livelli Essenziali di Assistenza – LEA*), ანუ ჯანდაცვის მინიმალური დონე რომელიც უფასოდ უნდა იყოს უზრუნველყოფილი²⁰ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამის შემდეგ, თითოეული რეგიონი პასუხისმგებელია თავისი რეგიონული ჯანდაცვის მომსახურების (*Servizio Sanitario Regionale – SSR*) ორგანიზებაზე და მენეჯმენტზე და ადმინისტრაციული ჯანდაცვის მომსახურებებზე სამწლიანი რეგიონული ჯანდაცვის გეგმების (*Piani Sanitari Regionali – PSR*) მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ ნაციონალურ მიზნებსა და პრიორიტეტებს კონკრეტული ტერიტორიული თავისებურებების, ჯანდაცვის მოთხოვნისა და რესურსების მიხედვით. ადგილობრივ დონეზე, თითოეული SSR აგებულია რამდენიმე ადგილობრივ საჯარო ჯანდაცვით ორგანიზაციებზე (*Aziende Sanitarie Locali – ASL*), რომელთა კომპეტენციაში შედის მოსახლეობის ჯანმრთელობის საჭიროებები და მოთხოვნები. ისინი უზრუნველყოფენ ჯანდაცვას პირდაპირ – საავადმყოფოებითა და ტერიტორიული დეპარტამენტებით – ან ირიბად – აკრედიტირებულ კერძო მომწოდებლებთან შეთანხმებით. SSR-ის ჯანდაცვის სტრუქტურები განსხვავდება მომსახურების ტიპის მიხედვით. შესაბამისად, პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელი

არაიან ჩვეულებრივ ზოგადი პრაქტიკანტები, პედიატრები (პაციენტების წლოვანება 0-14) და თვითდასაქმებული და დამოუკიდებელი ქირურგები, რომლებიც მუშაობენ მთავრობის კონტრაქტით. მეორე და მესამე დონის დახმარება მიწოდებულია საჯარო სტრუქტურებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ამბულატორულ და სტაციონალურ მომსახურებებს. სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად მომსახურებებს აწარმოებს კერძო კომერციული ორგანიზაციები, თუმცა ისინი ნაკლებად არიან განვითარებულნი ქვეყანაში.

იტალიაში ძირითადად ერთიანი ტექსტი ეხება იმიგრანტების უფლებებს ჯანდაცვის მომსახურებაზე (მუხლი 34-36), რომელიც განახლდა 2012 წელს მთავრობა-რეგიონები შეთანხმებით²¹. იგი ეხება იტალიაში დღემდე არსებულ ყველაზე მნიშვნელოვან, ყოველმხრივ და დეტალურ ტექსტს ევროკავშირელი და არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე. არაევროკავშირელი იმიგრანტების შემთხვევაში, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია იტალიაში მათ კანონიერ/ადმინისტრაციულ სტატუსზე. არაევროკავშირელ იმიგრანტებს, რომლებსაც აქვთ ბინადრობის ნებართვა (ან ელოდებიან მის განახლებას), აქვთ იგივე უფლებები და მოვალეობები ჯანდაცვაზე რაც იტალიელ მოქალაქეებს (მუხლი 34, ერთიანი ტექსტი), მაშინ როცა არადოკუმენტირებულ იმიგრანტებს მიუწვდებათ ხელი მხოლოდ „სასწრაფო“ და „გადაუდებელ“ დახმარებაზე. ჯანდაცვის სამინისტროს ცირკულარი ნომერი: 5/2000 განმარტავს „სასწრაფო დახმარებას“ როგორც მომსახურებებს რომლებიც არ მიენიჭება სიცოცხლისათვის საფრთხის ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების გარეშე, ის ჩვეულებრივ მიწოდებულია სასწრაფო დეპარტამენტების მიერ. „გადაუდებელი“ ითვალისწინებს დიაგნოსტიკურ და თერაპიულ მომსახურებას, რომელიც ზრუნავს პატარა, მალე განკურნებად დაზიანებებზე, მაგრამ რომელთა გახანგრძლივება გამოიწვევს ადამიანის ჯანმრთელოს სერიოზულად დაზიანე-

²⁰ თუ რეგიონი დაფარავს ხარჯებს მას შეუძლია LEA-ს მიერ დადგენილ უფრო დიდი ჯანდაცვის დონის მიწოდება.

²¹ Conferenza Permanente per i rapporti tra lo Stato e le Regioni e le Province autonome di Trento e Bolzano, 2012 წლის დეკემბერი. 'Accordo, ai sensi dell'articolo 4 del decreto legislativo 28 agosto 1997, n. 281, tra il Governo, le Regioni e le Province autonome di Trento e Bolzano sul documento recante: «Indicazioni per la corretta applicazione della normativa per l'assistenza sanitaria alla popolazione straniera da parte delle Regioni e Province autonome»'. <http://www.gazzettaufficiale.it/eli/id/2013/02/07/13A00918/sg> (შესული 2017 წლის 4 აპრილს)

ბას ან მათი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას (გართულებები, ქრონიკული დაავადებები და ძველი ავადმყოფობებისა და სნეულებების გაღიზიანება).

მაგრამ იტალიის კანონმდებლობის ფორმალურმა შინაარსმა არაევროკავშირელი იმიგრანტების ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე არ უნდა შექმნას ილუზია. თუმცა, ერთი შეხედვით კანონი შეიძლება იყოს ინკლუზიური, რადგანაც ის იძლევა გარანტიას ჯანდაცვაზე იტალიელი მოქალაქეების მსგავსად არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის და უფლებას „სასწრაფო და გადაუდებელ ზრუნვაზე“ არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის. ჯანდაცვის ინტერვენციების განსაზღვრასა და დანერგვაში რეგიონული მთავრობებისა და ჯანდაცვის მომწოდებლების მოქმედების ფართო არეალი დიდად აზიანებს იმიგრანტების ჯანდაცვის ნაციონალურ ფორმალურ პილიტიკას და კონკრეტულად ახდენს გავლენას იმიგრანტებისთვის ქვეყანაში ჯანდაცვის უფლების მიღებაზე (Perna 2017). ამასთან ერთად, როგორც ზემოთ ვახსენეთ Bossi-Fini კანონმა და უსაფრთხოების პაკეტმა, ისევე როგორც იმიგრაციის პოლიტიკაში შემდგომმა უსაფრთხოების ინტერვენციებმა, გააჩინეს რამდენიმე „პათოგენური ელემენტი“ რაც მოქმედებს უარყოფითად იმიგრანტების ჯანმრთელობაზე, ქმნის შიშისა და ეჭვის გარემოს და ამცირებს იმიგრანტების კონკრეტულ და ყოველდღიურ შესაძლებლობას ჯანდაცვის მომსახურებებზე და შესაბამის მკურნალობაზე.

3.1 როგორ მიიღება ჯანდაცვის მომსახურება. შესაძლებლობები და გამოწვევები

იტალიაში არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის კანონიერად ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომად არსებობს ოთხი ძირითადი კატეგორია: (1) „რეგულარული დარჩენის ნებართვის მქონე უცხოელი მოქალაქე“, ვისი რეგისტრაციაც SSN-ში სავალდებულოა ან ნებაყოფლობითი; (2) „უცხოელი მოქალაქეები რომლებიც რეგულარულად იმყოფებიან იტალიაში სამ თვეზე ნაკლები დროით“; (3) „არარეგულარულ საფუძვლებზე იტალიაში მყოფი უცხოელი მოქალაქეები“; (4) „უცხოელი მოქალაქეები რომლებსაც აქვთ დარჩენის ნე-

ბართვა ჯანდაცვის მიზეზების გამო“. ქვემოთ ახსნილია თითოეული კატეგორიისთვის ჯანდაცვის მომსახურებების მიღების პირობები.

(1) რეგულარული დარჩენის ნებართვის მქონე უცხოელი მოქალაქეები – იტალიელი მოქალაქეების მსგავსად, რეგულარული დარჩენის ნებართვის მქონე უცხოელებს რეგისტრაციისას ეძლევათ ჯანმრთელობის ბარათი (Tessera Europea Assicurazione Malattia – TEAM) და აქვთ უფლება ამოირჩიონ ზოგად პრაქტიკანტსა და პედიატრს შორის (0-დან 14 წლამდელებისთვის) (იხილეთ ჩანართი 5). ჯანმრთელობის მომსახურების მისაღებად საჭიროა დარეგისტრირება ASL-ში (რაც უნდა გაკეთდეს ადგილობრივ მაცხოვრებელთა სარეგისტრაციო ოფისში – Anagrafe Residenti დარეგისტრირების შემდეგ). იმ შემთხვევაში თუ იმიგრანტი არ არის რეგისტრირებული, როგორც მაცხოვრებელი რეგისტრაცია უნდა გაიაროს საცხოვრებლის ASL-ში („საცხოვრებელი“ უკავშირდება დარჩენის ნებართვაზე მითითებულ მისამართს).

SSN-ში რეგისტრაციას აქვს ბინადრობის ნებართვის ტოლი ხანგრძლივობა. თუმცა რეგისტრაცია პირველის შემთხვევაში შეიძლება იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი იმიგრანტის სპეციფიკური ბინადრობის ნებართვის მიხედვით.

სავალდებულო რეგისტრაცია ნიშნავს, რომ პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს SSN-ში. ამ შემთხვევებში ჯანდაცვა ვრდელდება პირის დამოკიდებული ოჯახის წევრებზეც (იხილეთ დანართი 2). ამ ტიპის რეგისტრაცია ეხება დამოკიდებულ ან თვით-დასაქმებულ იმიგრანტებს რომლებიც რეგულარულ საფუძველზე მუშაობენ და მათი ოჯახის წევრებს (ასევე ოჯახის გაერთიანებისას, იმ 65 იმიგრანტის გამოკლებით, რომლებიც შემოვიდნენ იტალიაში 2008 წლის 5 ნოემბრის შემდეგ და აქვთ ნებაყოფლობითი რეგისტრაციის უფლება), იმიგრანტებს ვისაც აქვთ ‘carta di soggiorno’ და იმიგრანტებს, რომლებმაც შეიტანეს მოთხოვნა იტალიის მოქალაქეობაზე (ამ ტიპის იმიგრანტების ყველა კატეგორიის დეტალური სიისთვის იხილეთ დანართი 2).

იმიგრანტებს, რომლებსაც აქვთ ყოფნის 3 თვეზე მეტი ვადა მაგრამ არ არიან ზემოთხ-

ჩანართი 5/ძირითადი პრაქტიკანტი და პედიატრი, მორიგე ექიმი და სასწრაფო ოთახი

ძირითად პრაქტიკანტებსა (GPs) და პედიატრებს უნდა ირჩევდეს იმიგრანტი შესაძლებელი სიიდან საცხოვრებლის/დარჩენის ASL-ში, SSN-ში რეგისტრაციის მომენტში.

დიაგნოზებისა და რეცეპტების გარდა ძირითადი პრაქტიკანტის და პედიატრის მოვალეობებში შედის:

- სამედიცინო ცნობა ავადმყოფობის გამო დასაქმებულის მიერ სამუშაოს გაცდენის შემთხვევაში;
- სამედიცინო ცნობა სკოლაში რეადმისიისთვის;
- მიმართვები სპეციალურ და დიაგნოზურ კვლევებზე;
- თხოვნა არასასწრაფო საავადმყოფო მიღებაზე;
- წამლების რეცეპტები.

თითოეულ ზოგად პრაქტიკანტსა თუ პედიატრს აქვს ამბულატორული დეპარტამენტი სადაც SSN-ში დარეგისტრირებულთათვის გარანტირებულია ძირითადი პირველადი დახმარება განსაზღვრული დღეების/საათების მანძილზე.

როდესაც ზოგადი პრაქტიკანტი ან პედიატრი ხელმიუწვდომელია (მაგალითად ღამით, შვებულებისას) საგანგაშო ვითარებისას, შესაძლებელია მორიგე ექიმთან დაკავშირება (Guardia Medica – Servizio di continuità assistenziale) სამედიცინო რჩევებისთვის და სახლში გასასინჯად. სასწრაფო ჩარევის საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო ოთახში მისვლა (Pronto Soccorso) ან იტალიის ცხელ ხაზზე დარეკვა 118.

სენებულ კატეგორიებში (როგორებიც არიან სტუდენტები ან 65 ზე მეტი ოჯახის გაერთიანებისთვის 2008 წლის ნოემბერში იტალიაში შემოსული ოჯახის წევრები), შეუძლიათ ნებაყოფლობითი რეგისტრაცია საცხოვრებლის ASL-ში. რეგისტრაციის ეს ტიპი ვრცელდება დამოკიდებულ ოჯახის წევრებზე და საჭიროებს წლიურ შემოსავალს. ის ვალიდურია კალენდარული წლის (1 იანვარი – 31 დეკემბერი) მანძილზე და არ ექვემდებარება დანაწევრებას. სტუდენტები და au pairs ლებულობენ თანხას, რომელსაც ადგენს მთავრობა ყოველ წლიურად (ამ შემთხვევაში დამოკიდებული ოჯახის წევრები არ იგულისხმებიან) (იხილეთ ჩანართი 3). იმ შემთხვევაში თუ პირი ნებაყოფლობით არ დარეგისტრირდა SSN-ში, მისგან მოითხოვება პირადი ჯანმრთელობის დაზღვევის გადახდა. თუმცა პირადი ჯან-

მრთელობის დაზღვევები ფარავენ ყველა შესაძლებელ ჯანმრთელობის რისკს მაღალ ფასებში, იაფფასიანები არ იძლევიან იმავე რაოდენობის მომსახურებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ დაავადების განკურნება არ იფარება პირის პირადი დაზღვევით, მაშინ მას უწევს მთელი მომსახურების ანაზღაურება.

(2) *იმიგრანტები, რომლებიც რეგულარულად იმყოფებიან იტალიაში 3 თვეზე ნაკლები დროით* – იმიგრანტები რომლებიც რეგულარულად იმყოფებიან ქვეყანაში 3 თვეზე ნაკლები დროით (მაგალითად ტურისტული ვიზით და ბიზნესის გამო) და არ შეუძლიათ SSN-ში დარეგისტრირება, გარანტირებულნი არიან „სასწრაფო“ და „დაგეგმილი“ მოვლით (მუხლი 35, ერთადერთი ტექსტი).²² „სასწრაფო დახმარება“ მოთხოვნისთანავე მიენიჭება,

²² ამ წესისგან გამონაკლისები არიან იმ ქვეყნების მოქალაქეები, რომლებმაც ხელი მოაწერეს იტალიასთან გარკვეულ ორმხრივ შეთანხმებას. ისეთი ქვეყნები როგორებიცაა არგენტინა, ავსტრალია, ბრაზილია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, მონაკოს მონარქია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, სან მარინოს რესპუბლიკა, ტუნისი, ვატიკანი. ამ შემთხვევებში იმიგრანტებისგან მოითხოვება წარმოადგინოს გარკვეული საბუთები, რომლებიც ცხადყოფენ მათი სოციალური დაცვის სისტემის მოცულობას.

მომსახურების მთელი საფასური კი მოითხოვება პირის საავადმყოფოდან გასვლის დროს. „დაგეგმილი დახმარება“ რომელიც ითვალისწინებს არა სასწრაფო ზომებს, უზრუნველყოფილია მხოლოდ სრული დაფინანსების შემდეგ. SSR-ის საზღვრებს გარეთ, თითოეული რეგიონი თავისით განსაზღვრავს ჯანდაცვის მომსახურებების ტარიფს.

(3) არარეგულარულ საფუძვლებზე იტალიაში მყოფი უცხოელი მოქალაქეები – არა ევროკავშირელ უცხოელ მიგრანტებს, რომლებიც იმყოფებიან ქვეყანაში არარეგულარულ საფუძველზე, მიუხედავად ხელი „სასწრაფო“ და „გადაუდებელ“ მოვლაზე, რაც ხორციელდება სისტემით სახელად STP – *Straniero temporaneamente presente* (დროებით მყოფი უცხოელი), რომელიც შედგება მოკლევადიანი ანონიმური რეგიონული კოდისგან (სახელად STP კოდი), იგი ვალიდურია ექვსი თვის ვადით და განახლებადია (მეტი დეტალებისთვის იხილეთ დანართი 4). კოდი მიენერება პირს როდესაც ის პირველად გამოიყენებს ჯანდაცვის მომსახურებებს (მუხლი 35, *ერთიანი ტექსტი*). STP ბარათი მიღებულია მთელ ნაციონალურ ტერიტორიაზე და გამოიყენება ASL-ისა და ჯანდაცვის მომსახურებების (იმ ყველა მომსახურებებისა რომელსაც იძლევა ჯანდაცვის ან საოჯახო სამინისტრო, მომსახურების ტიპის მიხედვით) მომწოდებლების მიერ მომსახურებებისა და ყველა იმ რეცეპტის ასანაზღაურებლად, რომელიც მიღებულია რეგიონული რეცეპტების ფორმულარით.

ამასთან ერთად, *ერთიანი ტექსტის 35-ე* მუხლი უზრუნველყოფს განგრძობით ჯანდაცვას არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვისაც, მათი დაავადებების განსაკურნებლად სრული თერაპიული და რეაბილიტაციური ციკლის გარანტირებით. საბოლოოდ, გარანტირებულია პრევენციული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ჯანმრთელობას.

რეგისტრაციის მოთხოვნისას ამგვარი იმიგრანტებისგან არ ითხოვენ არანაირ საცხოვ-

რებელ ნებართვას. ამასთან ერთად, კოდი გაიცემა იმ შემთხვევაშიც თუ პირს არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში ის იქნება დარეგისტრირებული მის მიერ მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ექიმები და ჯანდაცვის მუშაკები ვალდებული არიან პოლიციას შეატყობინონ არარეგულარულ იმიგრანტების მათ დაწესებულებაში შემოსვლის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამედიცინო ანგარიში აუცილებელია, იმავე საფუძვლებზე, რაც იტალიელი მოქალაქეებისთვის).²³

თუმცა, ზოგადი კანონი აღნიშნავს, რომ უფასო სამედიცინო მომსახურება არ მიენოდებათ არარეგისტრირებულ იმიგრანტებს, *ერთიანი ტექსტის* მუხლი 35 იუნყება, რომ არარეგულარულ იმიგრანტებს მოემსახურებიან უფასოდ, თუ მათ არა აქვთ შესაბამისი ეკონომიური შესაძლებლობა. საერთო გადასახადები (ეგრეთ წოდებული „ბილეთები“) უნდა იქნან გადახდილი იტალიელი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი წესების შესაბამისად, ანტიდისკრიმინაციული პრინციპიდან გამომდინარე. ამის მიუხედავად, პირს შეუძლია მოითხოვოს საერთო გადასახადებისგან განთავისუფლება მძიმე ეკონომიური მდგომარეობის შემთხვევაში.²⁴ უფრო კონკრეტულად, იტალიელი მოქალაქეების მსგავსად, არარეგულარული იმიგრანტები არიან საერთო გადასახადებისგან განთავისუფლებულნი შემდეგ მომსახურებებთან მიმართებაში:

(ა) სოციალური დაცვა ორსულობისა და დედობის დროს, იტალიელი მოქალაქეების ანალოგიურ საფუძველზე;

(ბ) არასრულწლოვანთა დაცვა, 1989 წლის 20 ნოემბერს მიღებული ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით;

(გ) ვაქცინაციის პროგრამები, რეგიონული რეგულაციებითა და კოლექტიური პრევენციული კამპანიებით უზრუნველყოფილი;

(დ) საერთაშორისო პროფილაქტიკური ზომები;

²³ მაგალითად იმ დროს როცა დანაშაული ჩადენილია ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ (გამიზნული მკვლელობა, არაგამიზნული მკვლელობა, წახალისება ან დახმარება თვითმკვლელობაში და ინფანტიციდი) და დანაშაულებები ფიზიკური ჯანმრთელობის წინააღმდეგ (გამიზნული ბოროტმოქმედება – ცემა, ცუდი მოპყრობა, ჩხუბი, შევიწროება).

²⁴ ეკონომიური მძიმე მდგომარეობა მტკიცდება იმიგრანტის მიერ STP კოდის მიღებისას, ექვსთვიანი ვადის მქონდე დეკლარაციით, რომელიც იქმნება სპეციფიკური ფორმით და მონოდებულია ჯანდაცვის სამინისტროს ცირკალური წერილით ნომერი: 5/2000.

(ე) გადამდები დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

(4) უცხოელი მოქალაქეები რომლებსაც აქვთ ბინადრობის ნებართვა ჯანდაცვის მიზნების გამო – არა ევროკავშირელ იმიგრანტებს, რომლებსაც სურთ იტალიაში მხოლოდ სამკურნალოდ გადასვლა შეუძლიათ აიღონ სპეციფიური ბინადრობის ნებართვა ჯანდაცვის საფუძველზე“ (**Permesso di soggiorno per cure mediche**). უცხოელმა მოქალაქემ, რომელსაც სურს ამგვარი ნებართვის აღება, უნდა გადაიხადოს მკურნალობის მთელი საფასური (მუხლი 36, *ერთიანი ტექსტი*). დოკუმენტაციის გადაგზავნის შემდეგ, პირს ეძლევა ბინადრობის ნებართვა ქვეყანაში შემოსვლის შემდეგ და უგრძელდება ვადა მკურნალობის აღნიშნულ დრომდე. ამ პერიოდში პირსა და მის პარტნიორებს არ შეუძლიათ მუშაობა. მკურნალობის დასრულების შემდეგ, იმიგრანტმა უნდა დატოვოს ქვეყანა ბინადრობის ნებართვის ან მისი სხვა სახის ნებართვით შეცვლის შესაძლებლობის გარეშე. ამასთან ერთად ის არ აძლევს პირს SSN-ში გაერთიანების თხოვნის შესაძლებლობას, ნებაყოფლობითი დაზღვევის გადახდის დროსაც კი. ამგვარი ნებართვის აღებისთვის საჭირო პროცედურებსა და დოკუმენტებზე დეტალური აღწერისთვის იხილეთ დანართი 5.

3.2 განსხვავებული რეგიონული პოლიტიკა ჯანდაცვაზე არაევროკავშირელი იმიგრანტებისთვის

იტალიაში დეცენტრალიზებული ნაციონალური ჯანდაცვის მომსახურების გამო, რომელშიც შედის 21 რეგიონული ჯანმრთელობის სისტემა, ჯანდაცვის სისტემები იმიგრანტებისთვის ხასიათდება დიდი მრავალფეროვნებით. გერაცია და კოლეგიის (2010), 2010 წლის კვლევის მიხედვით, 2010 წელს, 16-მა რეგიონმა ჩართო იმიგრანტების ჯანმრთელობა მათ პროგრამებში, სხვადასხვა რეკომენდაციების ან მთელი სექციების გამოყოფით. ამისგან განსხვავებით 4-მა რეგიონმა (ვენეტო, ფრიული-ვენეცია გიულია, ბოლცენის ავტონომიური პროვინცია და კალაბრია) მიაქცია მინიმალური ან საერთოდ არ მიაქცის ყურადღება პროგრამებში იმიგრანტების ჯანმრთელობას, რაც იმას ნიშნავს რომ ამ რეგი-

ონებში არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული პოლიტიკური მიზნები და ინტერვენციები იმიგრანტი მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, საჭიროებებსა და მოთხოვნებზე.

იმიგრანტების ჯანდაცვის სტრუქტურაზე ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების უზრუნველყოფის კუთხით თითქმის ყველა რეგიონმა განსაზღვრა საინფორმაციო გაიდლაინები და ბუკლეტები არა ევროკავშირელი იმიგრანტების ინფორმირებაზე ჯანდაცვაზე უფლების შესახებ და თუ როგორ უნდა მიიღონ ეს მომსახურებები. შესაბამისად, რეგიონების უმეტესმა ნაწილმა ფორმალურად აღიარა მათ რეგიონულ გეგმებში კულტურული და ენობრივი მედიატორული მომსახურებების აუცილებლობა (იმის მიუხედავად, რომ მათ ისინი არ დაუნერგავთ თავიანთ რეგიონალურ ჯანმრთელობის სისტემებში). თუმცა, ამავდროულად მხოლოდ 5-მა რეგიონმა მიიღო კონკრეტული გაიდლაინები რათა უზრუნველყონ კონკრეტული ინდიკატორები ჯანდაცვის ოპერატორებზე, ჯანდაცვის სტრუქტურაზე და საავადმყოფოებზე (ვენეტო, უმბრია, ლაციო, პულია და სიცილია) და მხოლოდ 8 რეგიონმა წაახალისა პერსონალის ტრენინგი ინტერკულტურულ კომპეტენციაში (ლიგურია, ემილია-რომანა, ტოსკანა, უმბრია, მარჩე, ლაციო, პულია და სარდენა). ეს ნიშნავს, რომ ოფიციალური დისკურსების მიუხედავად, იმიგრანტების ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემაში მიჩნეულია იმიგრანტი პაციენტის პასუხისმგებლობად, იმის გათვალისწინებით, რომ იტალიის საჯარო ჯანდაცვის სტრუქტურებში კულტურული მრავალფეროვნების წასახალისებლად მცირეა ინტერვენცია.

ამასთან ერთად, რაც შეეხება არა ევროკავშირელი და არადოკუმენტირებული იმიგრანტების ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას, 1998 წელს მიღებული ერთიანი იმიგრაციის ტექსტთან შედარებით, ზოგიერთმა რეგიონმა გაზარდა მომსახურებების რაოდენობა ამ ჯგუფის იმიგრანტებისთვის. მაგალითად, 2016 წელს ოციდან 3-მა რეგიონმა ზოგადი პრაქტიკოსის გარანტია მისცა იმიგრანტსაც (ტოსკანა, უმბრია და პულია). თუმცა, რაც შეეხება კონკრეტულად პულიას, ეს ხორციელდება მხოლოდ ფოგიის პროვინციაში. სხვა პროვინციებში, მათ შორის ბარში, არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის

ზოგად პრაქტიკოსთან რეგისტრაცია საკმაოდ იშვიათია, თუმცა მათ აქვთ ჯანდაცვაზე უფლება რეგიონში არსებულ²⁵ ადგილობრივ ჯანმრთელობის დეპარტამენტში. ამასთან შედარებით მდგომარეობა უკეთესია ბავშვებისთვის, რადგანაც ისინი რეგულარულად არიან ჩანერილები პედიატრთან პულის რეგონული ჯანმრთელობის სისტემის მიხედვით.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ლომბარდიასა და მოლისეში, არადოკუმენტირებულ იმიგრანტებს აქვთ სასწრაფო დახმარების მიღების უფლება საჯარო ან აკრედიტებულ კერძო სტრუქტურებში, მაშინ როცა სხვა საკითხები მიანდეს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მოხალისე ასოციაციებს, რომლებიც მუშაობდნენ მოცემული რეგიონის ტერიტორიებზე (NAGA 2016; Merotta 2011). რაც შეეხება კონკრეტულად ლომბარდიას, 2016 წელს არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის არსებობდა მხოლოდ 2 საჯარო ჯანმრთელობის დეპარტამენტი (ერთი მილანოში და ერთი ბრესკიაში), მაშინ როცა დანარჩენი მიანდეს რეგიონში არსებულ 13 მოხალისე ჯანმრთელობის სტრუქტურას. მილანში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აქვთ NAGA-სა 25 და ნმინდა ფრანცისკის ოპერას (OSF)²⁶ ამასთან ერთად, რაც შეეხება ბავშვებს, მათ არა აქვთ ლომბარდიაში უფლება იყვნენ ოფიციალურად რეგისტრირებულნი პედიატრთან. ამის მიუხედავად შეუძლიათ პედიატრის დეპარტამენტში შესვლა და უფასო მომსახურების ადგილზე მიღება.

ამ ორ საპირისპირო რეგიონულ მიდგომას შორის, ლაციოში, რამდენიმე რელავანტური მოხალისე ორგანიზაციის მხარდაჭერით (როგორებიცაა Caritas²⁷ რომში), 55 საჯარო ჯანმრთელობის დეპარტამენტი იძლევა მომსახურებებს არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის. არადოკუმენტირებული ბავშვების შემთხვევაში, მათი პედიატრთან ჩანერა დამოკიდებულია იმაზე, აქვთ თუ არა მათ ფისკალური კოდი (Codice Fiscale). არადოკუმენტირებულ ბავშვებს შეუძლიათ

მომსახურების მიღება ზემოთ ხსენებულ ჯანმრთელობის დეპარტამენტში.

როგორც ნათლად ჩანს, იმის მიუხედავად, რომ 2012-ში იქნა მიღებული მთავრობა-რეგიონი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავდა ერთფეროვნების წახალისებასა და სიახლეების შემოღებას (როგორებიცაა ბავშვების რეგისტრაცია SSN-ში პედიატრთან მათი კანონიერი სტატუსის მიუხედავად; STP კოდის კანონი არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის რათა გაუმჯობესდეს მათი ჩართულობა პრევენციულ დახმარების პროგრამებში), მისი მიღება რეგიონების მიერ არის საკმაოდ ფრაგმენტული და დროში განწელილი.

3.3 ხელშეწყობის პოლიტიკა არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე

იტალიაში არსებობს რამდენიმე ინსტრუმენტი არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე დასახმარებლად, მათ შორის ტრენინგები ჯანდაცვის წარმომადგენლებისთვის კულტურულ კომპეტენციაზე, საშუაშავლო და მთარგმნელობითი მომსახურებები და რამდენიმე ენაზე თარგმნილი ინფორმაცია.²⁸ ამასთან ერთად, ჯანდაცვის სამინისტრომ შემოიღო სპეციფიკური პროგრამები იმიგრანტი მოსახლეობის ქვე-ჯგუფებისთვის და იმიგრანტებს შორის ჯანდაცვაზე ინფორმირებულობის გასაზრდელად (მაგალითად პროგრამები: ორსული ქალების ჯანმრთელობის გასაუმჯობესებელი; აბორტების რიცხვის შემცირების; ქალთა დასაჭურისების საწინააღმდეგო ზომების; აივ დაავადებების შემთხვევების, ტუბერკულოზის და სექსუალური კავშირით გადაცემული დაავადებების შესამცირებელი; იმიგრანტ ბავშვებში ასპროცენტიანი ვაქცინაციის მისაღწევი; სამუშაოზე მომხდარი უბედური შემთხვევების შესამცირებელი). ამის მიუხედავად ყველა ეს ინსტრუმენტი არ

²⁵ იხილეთ NAGA-ს საიტი: <http://www.naga.it/index.php/attivita.html>.

²⁶ იხილეთ OSF-ის საიტი: <http://www.operasanfrancesco.it/OSF/cosafacciamo/poliambulatorio.cfm>.

²⁷ იხილეთ Caritas Roma-ს ვებგვერდი: <http://www.caritasroma.it/attivita/nel-territorio/sanita/>.

²⁸ იხილეთ მაგალითად 'InformaSalute' (http://www.salute.gov.it/portale/documentazione/p6_2_5_1.jsp?id=118) ან 'Salute: un diritto per tutti' (http://www.salute.gov.it/portale/documentazione/p6_2_5_1.jsp?id=203), ჯანდაცვის სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი ონლაინ ბუკლეტები რამდენიმე ჯგუფისთვისა და ენებისთვის.

არის სავალდებულო. თითოეულ რეგიონსა და ჯანდაცვით სტრუქტურას შეუძლია განსხვავებულად უზრუნველყოს იმიგრანტების ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობისთვის საჭირო ინსტრუმენტები. შესაბამისად ჯანდაცვის სისტემის წინა პლანზე მომუშავეებს რთულად მიენოდებათ ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებელი იარაღები.

როგორც იქნა შესწავლილი ჯანმრთელობის ქსელ *MIPEX*-ის²⁹ შემთხვევაში, იმიგრანტებს შეიძლება გაუჭირდეთ რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების წარმოდგენა (*IOM 2016*). ამასთან ერთად, ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა შეიძლება დამოკიდებული იყოს დისკრეციულ გადაწვეტილებებზე, კონკრეტულად რაც ეხება *STP*-ს (*NAGA 2016; Perna 2017*). ეს ხდება იმიტომ, რომ „სასწრაფო და გადაუდებელი“ დახმარების გაცემის საჭიროების განსაზღვრა ეკისრება სამედიცინო/ადმინისტრაციულ მუშა ჯგუფს, რომელმაც უნდა განსაზღვროს, შეაფასოს და გაზომოს ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის კატეგორიები თითოეულ ინდივიდუალურ შემთხვევაში. ამასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში დასაწრეგისტრირებლად იმიგრანტები ნაციონალური მითითებების მიუხედავად, იძულებულნი იყვნენ წარმოედგინათ საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ სარგებლობდნენ მომსახურებით. ამ დისკრეციულ ძალას პოტენციურად შეუძლია ჯანდაცვაზე იმიგრანტების ხელმისაწვდომობის გართულება.

3.4 საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის უფლების დაცვაში

ჯანდაცვა იტალიაში ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო სტრუქტურებით. ამის მიუხედავად, *SSN*-ის ფარგლებს გარეთ სპეციალური არასამთავრობო და სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად არიან ჩართულნი ჯანდაცვის მომსახურებების მიწოდებაში, კონკრეტულად კი იმიგრანტების დაუცველი ჯგუფების დასახმარებლად (ქალები, ძალადობის ან კონტრაბანდის

მსხვერპლები, თავშესაფრის მაძიებლები, უპატრონო ბავშვები, არადოკუმენტირებული იმიგრანტები).

ეს განსაკუთრებით რელევანტურია არარეგულარული იმიგრანტებისთვის. 1998 წლის აღმასრულებელი განკარგულების (*DPR* ნომერ *394/1999*, მუხლი *43*) მიხედვით, თითოეულმა რეგიონმა „უნდა განსაზღვროს ყველაზე შესაბამისი გზები დროებით მყოფი უცხოელებისთვის ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გარანტირებისთვის, რაც უნდა მოხდეს საჯარო და აკრედიტებულ კერძო საავადმყოფოებთან და, შესაძლოა, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოხალისე ასოციაციებთან თანამშრომლობით“. მართლაც, ხშირად ჯანდაცვის პოლიტიკის დანერგვა ხორციელდება კერძო არაკომერციული ორგანიზაციების დახმარებით (*Ambrosini 2015; Pasini and Merotta 2011*). აღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნაციონალურ დონეზე ყველაზე მნიშვნელოვნებია *Caritas, Croce Rossa, Emergency, Medici Senza Frontiere* და *Comunità di Sant'Egidio*, რომლებსაც აქვთ მრავალი ცენტრი ქვეყანაში და რომლებიც მოქმედებენ როგორც დაცვის, ასევე ჯანდაცვის მომწოდებლებად იმიგრანტი მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ჯგუფებისთვის. რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ამ სფეროში მოქმედი კარგად ნაცნობი ორგანიზაციებია: მილანში *NAGA* და *Opera San Francesco*, ბოლონიაში *Biavati*, რომში *Caritas*, პალერმოში *Salesians of Santa Chiara*. ლომბარდიაში, ლაციოსა და პულიაში არსებული ყველაზე რელევანტური ორგანიზაციებისთვის იხილეთ წინა პარაგრაფი.

თუმცა უფრო ზოგადად, *CSO*-ს ჩართულობისა და ფორმალური პასუხისმგებლობის დონე განსხვავდება ქვეყანაში იმიგრანტის ჯანმრთელობისადმი რეგიონული მიდგომის კუთხითაც. მაგალითად ემილია-რომანაში საჯარო სექტორის მოქმედებებსა და სტრუქტურებს აქვთ ცენტრალური როლი არარეგულარული იმიგრანტებისთვის ჯანმრთელობის მომსახურებაში. აქ არასამთავრობებს შეუძლიათ იმოქმედონ როგორც მხაერდამჭერი ორგანო, მაგრამ ჯანდაცვის მომსახურებაში მათი როლი მარგინალურ

²⁹ იხილეთ: <http://www.mipex.eu/italy>

რია (Merotta 2011). ამის საწინააღმდეგოდ ლომბარდიაში რეგიონს ტრადიციულად აქვს მინიმალური როლი იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაში და იქნა მიღებული მცირე რაოდენობის რეგიონული კანონი თუ რეზოლუცია. შესაბამისად რელიგიური და ჰუმანისტური CSO-ები თამაშობენ წარმართველ როლს იმიგრანტებისთვის ჯანმრთელობის მომსახურებების მიწოდებასა და მათი ჯანდაცვის უფლებაზე ინფორმირებულობის გაზრდაში ადგილობრივ დონეზე (Ambrosini 2015).

4. უფლება და ხელმისაწვდომობა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე

არა ევროკავშირელი იმიგრანტებისთვის იტალიის კანონმდებლობა უზრუნველყოფს რამდენიმე მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებას. იმის მიუხედავად, რომ ფორმალური პოლიტიკური უფლებები, როგორებიცაა ხმის მიცემა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება, დაკავშირებულია ფორმალურ მოქალაქეობის მიღებასთან (Cappiali 2015; Kotic and Tryandafillidou 2005), არაევროკავშირელ იმიგრანტებს აქვთ იტალიაში მრავალმხრივი შესაძლებლობები ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართავად, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე. იტალიის კანონმდებლობის ამ ნაწილზე იქონია გავლენა 1992 წლის ევროპის საბჭოს კონვენციამ ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ცხოვრებაში უცხოელთა ჩართულობის შესახებ (CoE). რაც მიღებულია უცხოელ მოსახლეთა წასახალისებლად ადგილობრივ საზოგადოებებში მონაწილეობისთვის და მათი კეთილდღეობის განსავითარებლად ადგილობრივ საზოგადოებაში ჩართვის გზით. ეს კონვენცია „ეხება ყველა პირს ვინც არ არის მხარის მოქალაქე და კანონიერად იმყოფება მის ტერიტორიაზე“ (Council of Europe 1992).

კონვენცია შედგება სამი ფუნდამენტური ნაწილისგან. პირველი, თავი ა) განსაზღვრავს რომ უცხოელ მობინადრეებს უნდა მიეცეთ „გამოხატვის, შეკრების და ასოციაციის თავისუფლება“, მათ შორის პროფესიული კავ-

შირების შექმნის უფლება. მეორე, თავი ბ) ახალისებს ადგილობრივ დონეზე საკონსულტაციო ერთეულების შექმნას, რომლებიც უნდა ამოიჩიონ იმიგრანტებმა ადგილობრივ დონეზე ან დანიშნონ იმიგრანტულმა ასოციაციებმა. თავი გ) სთავაზობს მთავრობას მისცეს უცხოელ მოქალაქეებს ადგილობრივ არჩევნებში ხმის მიცემისა და მონაწილეობის მიღების უფლება მუნიციპალურ არჩევნებში მიმღებ ქვეყანაში 5 წლიანი კანონიერი ცხოვრების შემთხვევაში. ამასთან ერთად ის მოუწოდებს მთავრობას რომ მიაწოდოს უცხოელ მოქალაქეებს ინფორმაცია თავიანთ უფლებებსა და ვალდებულებებზე ადგილობრივი საზოგადოებრივ საჯარო ცხოვრებასთან მიმართებაში.

იტალიამ 1992 წლის კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წლის 8 მარტს მიღებული კანონით და სცნო *ტურკო-ნაპოლიტანო* კანონში მისი ასპექტების უმეტესობა 1998 წელს, იმ უფლებების გარდა რომლებიც ეხება ხმის მიცემასა და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას (Mantovan 2007). მაშასადამე, არაევროკავშირელ იმიგრანტებს იტალიაში აქვთ ადგილობრივ დონეზე რამდენიმე პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლება. ამასთან ერთად, უფლებებზე ეფექტური ხელმისაწვდომობა მხარდაჭერილია პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირებით, რომლებიც მოქმედებენ ჩართულობის გასაზრდელად, მათ შორის არიან ადგილობრივი ადმინისტრაციები, პოლიტიკური პარტიები, პროფესიული კავშირები, საეკლესიო და საერო ორგანიზაციები (Cappiali 2015). მაშასადამე იმიგრანტების ჩართულობა და ადგილობრივი ვითარების შეცვლის მათი უნარი ხშირად დამოკიდებულია ადგილობრივი პირების ინიციატივებზე (Ibid.). თუმცა მათ მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობები განსხვავდება ადგილმდებარეობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქალაქში ჩართულობის შესაძლებლობები მრავალია, ზოგან კი ძალიან შეზღუდული (Caponio 2005). ამის გამო, თითოეულ ქალაქში შექმნილი პლატფორმების მრავალფეროვნებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროა თითოეული პირის შეფასება ვითარების მიხედვით და ყველაზე ეფექტურის გამოვლენა იმიგრანტების აქტიური ჩართულობის წახალისებაში (Cappiali 2015).

ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე ძირითად საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობებს იტალიაში, რომლებშიც იმიგრანტებს შეუძლიათ ჩართვა.

(1) მონაწილეობა პროფესიულ კავშირებში – პროფესიულ კავშირებში არსებული იმიგრანტების რიცხვი იტალიაში საკმაოდ მაღალია და კიდევ უფრო იზრდება (Mottura et al. 2010). ასევე, მრავალი იმიგრანტი მუშა განსხვავებულ დონეებზე არის ამორჩეული ან დანიშნული პროფესიული კავშირების წარმომადგენლად ან დელეგატად (Cappiali 2015). ამ ორგანიზაციების გაერთიანება და პოლიტიკურ და საერთო აქტივობებში მონაწილეობა გამონეუელია ამ ორგანიზაციების მიერ მიგრაციის პრობლემებში ინვესტირებით (Mottura et al. 2010).

(2) მონაწილეობა საკონსულტაციო ერთეულებში – მრავალ ქალაქში, იმიგრანტებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო ან დანიშნულ ერთეულებში, რომლებიც შეიქმნა მრავალ მუნიციპალიტეტებში იმიგრანტი საზოგადოებების ინტერესების წარმოსაჩენად. ამ ერთეულებიდან ზოგი სხვებზე უკეთ მუშაობს. ამის მიუხედავად, ისინი გააკრიტიკეს როგორც სოციალური კონტროლის განმახორციელებლები და არა იმიგრანტი საზოგადოებების მხარდამჭერები ქალაქში (Cappiali 2015). ამასთან ერთად, მათგან მრავალი დაფუძნდა იმ მცდარ აზრზე, რომ იმიგრანტი ასოციაციები წარმოადგენენ იმიგრანტ საზოგადოებებს, რაც ძალიან იშვიათად არის სიმართლე (Candia and Carchedi 2012).

(4) სამოქალაქო ჩართულობა – იმიგრანტებს ინდივიდუალურ დონეზე შეუძლიათ იტალიის მოხალისეობრივ სექტორში ჩართვა და კოლექტიურ დონეზე საკუთარი ასოციაციების შექმნა. ადგილობრივი მთავრობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხშირად ახალისებენ იმიგრანტების საზოგადოებრივ ჩართულობას პლატფორმებისა და შიდა კულტურული ცენტრების შექმნით, რომლებიც აძლევენ იმიგრანტ ასოციაციებს შეხვედრისა და ქალაქში თავიანთი ხმის გაჟღერების შესაძლებლობას (Cappiali 2015). აღსანიშნავია ისიც, რომ მრავალ სიტუაციაში იმიგრანტ ასოციაციებს არა აქვთ ძლიერ ორგანიზაცი-

ებად ჩამოყალიბების შესაძლებლობა კოოპერაციის პროცესის გამო (Candia and Carchedi 2012). კვლევებმა აჩვენეს რომ იმიგრანტების ორგანიზაციები სუსტია და უჭირთ თავის წარმოჩენა და ადგილობრივ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა (Caponio 2005; Mantovan 2007). Tiziana Caponio-მ (2005: 940) ამოიცნო „შევიწროების ეფექტი“, რაც არის პროცესი, რომლითაც იტალიური ასოციაციები ტოვებენ მცირე სივრცეს იმიგრანტი ასოციაციების განვითარებისთვის და შესაბამისად ზღუდავს იმ „სივრცეს“ რომლითაც იმიგრანტი ორგანიზაციები შეძლებდნენ განვითარებას. ამასთან ერთად, ანგარიშის ერთ-ერთი ავტორი (Cappiali 2016b) აჩვენებს, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხშირად აქვთ მამობრივი ან ინსტრუმენტული მიდგომა, რითაც ზღუდავენ იმიგრანტი ჯგუფების წარმოჩენას. ამის მიუხედავად, მრავალი იმიგრანტი ჯგუფი ცდილობს ასოცირებას და მონაწილეობის მიღებას იმ ქალაქების ცხოვრებაში, სადაც ისინი იმყოფებიან და რაღაც დონეზე მათ მოახერხეს თავიანთი ხმის გაჟღერება და ადგილობრივი პოლიტიკის ფორმირება (Cappiali 2015).

4.1 როგორ უნდა შევქმნათ ასოციაცია

იტალიაში არაევროკავშირულ იმიგრანტებს აქვთ იგივე უფლებები ასოციაციის შესაქმნელად რაც იტალიის მოქალაქეებს. ასოციაცია ეწოდება იურიდიულ ინსტრუმენტს რომლითაც ადამიანების ჯგუფს შეუძლია სოციალურ და სოლიდარულ მიზნებს მისდოს. ასოციაციის შექმნა შეიძლება რამდენიმე მიზეზით, დანყებული სპორტული, კულტურული თუ რელიგიური აქტივობების ნახალისებით, დამთავრებული საჭიროებაში მყოფი ადამიანების დახმარების მცდელობით. შესაძლებელია სამი ტიპის არაკომერციული ასოციაციის კანონიერად შექმნა: (1) მოხალისეობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ამახვილებენ ყურადღებას სოლიდარობის აქტივობებზე; (2) სოციალური განვითარების ასოციაციები, რომლებიც ამახვილებენ ყურადღებას სოციალურად სასარგებლო აქტივობებზე; და (3) სოციალური კოოპერატივები, რომლებიც წარმართავენ სოციო-სანიტარულ ან განმანათლებელ მომსახურებებსა და სხვა აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავენ იმ

ხალხის შრომით ბაზარზე შესვლას, რომლებსაც აქვთ არახელსაყრელი მდგომარეობა.

ამ ასოციაციებიდან რომელიმეს შესაქმნელად აუცილებელია მისი პრეზიდენტი იყოს 18 წელზე მეტი ხნის. ასოციაციის წევრი შეიძლება იყოს ორი ან მეტი. ასოციაციებს ასევე შეუძლიათ საჯარო ხელისუფლებაზე მუშაობა და დაფინანსების მოპოვება. ამისთვის ისინი უნდა დარეგისტრირდნენ მათ კონკრეტულ ტიპოლოგიასთან დაკავშირებულ ძირითად რეგიონულ სარეგისტრაციოში. ეს სარეგისტრაციოებია: (1) მოხალისეობრივი ასოციაციების რეგიონული სარეგისტრაციო (**Registro regionale delle associazioni di volontariato**), (2) სოციალური დანიანაურების ასოციაციების რეგიონული სარეგისტრაციო (**Registro regionale dell'associazione di promozione sociale**), და (3) სოციალური კოოპერატივების რეგიონული სარეგისტრაციო (**Albo regionale delle Cooperative sociali**). უმეტეს შემთხვევებში, ასოციაციებს შეუძლიათ მესამე სექტორში დარეგისტრირება ქალაქში ან იმ რეგიონში, სადაც ისინი მდებარეობენ. ინფორმაციისა და ასოციაციის შესაქმნელი მხარდაჭერის მისაღებად, შესაძლებელია ძირითადი ორგანიზაციის, **CESVOT**-ის მიმართვა, რომელიც ჩვეულებრივ იძლევა 30 კონსულტაციებს.

ბიბლიოგრაფია

Adler, L. H., M. Tapia, L. Turner (eds.). 2014. *მობილიზაცია უთანასწორობის წინააღმდეგ. კავშირები, იმიგრანტი მუშები და კაპიტალიზმის კრიზისი*. Ithaca: Cornell University Press/ILR Press.

Allasino, E. E. Reyneri, A. Venturini, G. Zincone. 2011 *La discriminazione dei lavoratori immigrati nel mercato del lavoro in Italia*. საერთაშორისო მიგრაციული სტატიები, 67-I. <http://www.fieri.it/wpcontent/uploads/2013/05/Rapporto-finale-La-discriminazione-dei-lavoratori-immigrati-nel-mercato-del-lavoro-in-Italia.pdf>

Ambrosini, M. 2015. "არასამთავრობო ორგანიზაციები და ჯანდაცვის მომსახურებები

იტალიაში არარეგულარული იმიგრანტებისთვის: როცა ადამიანების უფლებების დაცვა უპირისპირდება კანონებს." *ჟურნალი იმიგრანტებისა და დევნილთა კვლევაზე*, 13(2): 116-134.

Ambrosini, M. 2013a. "ვართ მრავალეთნიკური საზოგადოების წინააღმდეგ: ურბანულ დონეზე გარიყვის პოლიტიკა." *ეთნიკური და რასობრივი კვლევები*, 2012: 1-20.

Ambrosini, M. 2013b. "დისკრიმინაციასთან და გარიყვასთან ბრძოლა: სამოქალაქო საზოგადოება და იმიგრაციის პოლიტიკა იტალიაში." *მიგრაციის წერილი*, 10 (3): 313-323.

Amnesty International. 2012. იტალია; ექსპლორირებული შრომა: მიგრანტი მუშები იტალიის აგრარულ სექტორში. დეკემბერი 18, 2012. <http://www.amnesty.org/en/documents/EUR30/020/2012/en/> (შესული 2017 წლის 30 მარტში).

Barbagli, M., A. Colombo, G. Sciortino. 2004. *I Sommersi e i Sanati. Le regolarizzazioni degli immigrati in Italia*. Bologna: Il Mulino.

Calavita, K. 2005. *იმიგრანტები პერიფერიებზე*. კანონი, რასა, და გარიყვა სამხრეთ ევროპაში. Cambridge: Cambridge University Press.

Campomori, F. 2008. *Immigrazione e cittadinanza locale. La governance dell'integrazione in Italia*. Roma: Carocci.

Campomori, F. and T. Caponio. 2013. "იმიგრანტების ინტეგრაციის კონკურენტული სისტემები ევროპაში: იტალიურ რეგიონებში სოციალური ინკლუზიის გეოგრაფიები." *პოლიტიკის კვლევები*, 34: 163-179.

Campomori, F. and T. Caponio. 2014. "მიგრანტის მიღების პოლიტიკა მრავალდონიან სისტემაში: იტალიურ რეგიონებში სტრუქტურების ფორმირება და დანერგვა." In *Eve Hepburn, Ricard Zapata-Barrero (eds.)*. *იმიგრაციის პოლიტიკა მრავალდონიან მთავრობებში*. მმართველობა და პოლიტიკური პარტიები. London: Palgrave Macmillan, 130-149.

³⁰ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ Candia and Carchedi 2012 და ეწვიეთ CESVOT-ის ვებგვერდს: <http://www.cesvot.it>.

Candia, G. and F. Carchedi. 2012. *Risorse di Cittadinanza. Le associazioni di Immigrati tra Vincoli e Opportunità* http://www.integrazionemigranti.gov.it/Documenti/Documents/ManualiStudi/Risorse_di_Cittadinanza_web.pdf (შესული მარტი 30, 2017).

Cannella, G. 2010. "La Condizione Giuridica dei Lavoratori dopo il 'Pacchetto Sicurezza'." In F. Carchedi, F. Carrera and G. Mottura (Eds.). 2010. *Immigrazione e Sindacato. Lavoro, Cittadinanza e Territori. VI Rapporto*. Roma: Ediesse, 41-56.

Caponio, T. 2005. "პოლიტიკის ქსელები და იმიგრანტების ასოციაციები იტალიაში. მილანის, ბოლონიისა და ნეაპოლის მაგალითები." *Journal of ეთნიკური და მიგრაციის კვლევების ჟურნალი*, 31 (5): 931-950.

Caponio, T. 2006. *Città italiane e immigrazione. Discorso pubblico e politiche a Milano, Bologna e Napoli*. Bologna: Il Mulino.

Caponio, T., P. R. Graziano. 2011. "უსაფრთხოებაზე ორიენტირებული მიგრაციის პოლიტიკის მოდელისკენ? მტკიცებულება იტალიის მაგალითიდან." In E. Carmel, A. Cerami, T. Papadopoulos (eds.). *მიგრაცია და კეთილდღეობა ახალ ევროპაში*, ბრისტოლი: The Policy Press, 105-120.

Caponio, T., P., Ferruccio, R. Ricucci. 2012. "Amministrare l'immigrazione. La difficile simbiosi tra burocrazia e cittadini stranieri." *Rapporti di ricerca Fieri*. <http://fieri.it/2012/09/19/rapporto-diricerca-amministrare-immigrazione-2/> (შესული ივნისი 30, 2015).

Cappiali, M. T. მომავალი 2017. "იმიგრაციის გამოწვევები და პასუხები: მთავრობისა და მარცხენა ფრთის პოლიტიკოსების როლი." M. Evangelista (ed.) *იტალია კრიზისიდან კრიზისამდე: პოლიტიკური ეკონომიკა, დაცვა, და საზოგადოება 21-ე საუკუნეში*. New York: Routledge.

Cappiali, M. T. 2016b. "ნებისმიერი ვინც წყვეტს შენთვის შენს გარეშე, ის შენს წინააღმდეგაა!" იმიგრანტების აქციები და მარცხენა ფრთის როლი პოლიტიკურ რადიკალიზაციაში

აში" *ეთნიკური და რადიკალური კვლევები*, 40(6): 969-987.

Cappiali, M. T. 2015. *მიგრანტის წარსულის მქონე ადამიანებში აქტივიზმი და ჩართულობა: ინკლუზიის დისკურსები და პრაქტიკები ოთხ იტალიურ ქალაქში. პილიტიკური მეცნიერება(სადოქტორო დისერტაცია)*. ივლისი 2015. გამოუქვეყნებელი. Montreal: Université de Montréal.

Colombo, A. and G. Sciortino. 2004. *Gli immigrati in Italia*. Bologna: Il Mulino.

ევროპის საბჭო. 1992. *კონვენცია ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უცხოელთა ჩართვაზე*. ხელმისაწვდომია: <http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?CL=ENG&NT=144> (შესული 2017 წლის 30 მარტს).

Fasani, F. 2009. ქვეყნის ანგარიში იტალია. ქვეყნის ანგარიში მომზადდა საკვლევ პროექტი CLANDESTINOS ფარგლებში არადოკუმენტირებულ მიგრაციაზე. დაუთვლელის გამოთვლით. ინფორმაცია და ტრენდები ევროპაში 35 დაფინანსებული კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მექვეყნე სტრუქტურული პროგრამის მიერ პრიორიტეტი-7ის გათვალისწინებით „მოქალაქეები და ხელისუფლება ცოდნაზე დამყარებულ საზოგადოებაში“, Research DG, European Commission http://irregularmigration.net/typo3_upload/groups/31/4.Background_Information/4.4.Country_Reports/Italy_CountryReport_Clandestino_Nov09_2.pdf (შესული 2015წლის 25ივნისს).

Geraci S., M. Bonciani and V. Martinelli. 2010. *La tutela della salute degli immigrati nelle politiche locali*. Roma: Inprinting. განახლებული 2010 წლის ივლისში. ხელმისაწვდომი: <http://tinyurl.com/jbwdrlo>. (შესული 2017წლის 13 მარტს).

Guariso, A. (Ed). 2013. *Senza distinzioni: quattro anni di contrasto alle discriminazioni istituzionali nel Nord Italia*. Milan: ASGI, UNAR e Avvocati per niente.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). 2016. *Summary Report on the MIPEX*

Health Strand & Country Reports. IOM-ის მიგრაციის კვლევები. 2016 წლის აგვისტო. ხელმისაწვდომია: <http://tinyurl.com/ju9fn43> (შესული 2017 წლის 4 აპრილს). 2010. 'Stagione amara': Rapporto sul sistema di ingresso per lavoro stagionale e sulle condizioni dei migranti impiegati in agricoltura in Campania, Puglia Sicilia. დეკემბერი 2010.

Kosic, A. and A. Triandafyllidou. 2005. იმიგრანტების აქტიური საზოგადოებრივი ჩართულობა იტალიაში. ქვეყნის ანგარიში, გაკეთებული ევროპული კვლევითი პროექტის POLITIS-სთვის. Oldenburg 2005. ხელმისაწვდომია: www.ubi-oldenburg.de/politis-europe (შესული 2017 წლის 30 მარტში).

Mantovan, C. 2007. Immigrazione e Cittadinanza. Auto-organizzazione e Partecipazione dei Migranti in Italia. Milan: FrancoAngeli.

Meli, A., and U. C. Enwereuzor. 2003. უცხოელების ჩართულობა საზოგადოებაში ადგილობრივ დონეზე. COSPE დოკუმენტები. ხელმისაწვდომია: http://www.cospe.it/uploads/documenti/allegati/partecipazione_politica_dei_cittadini_stranieri_a_livello_locale.pdf (Accessed March 30, 2017).

Merotta, V. 2011, "I casi regionali." In N. Pasini (Ed.) Confini irregolari. Cittadinanza sanitaria in prospettiva comparata e multilivello. Milano: FrancoAngeli, 199-302.

Mottura, G. 2000. "Immigrati e sindacato." In Enrico Pugliese (ed.). Rapporto immigrazione. Lavoro, sindacati, Società. Rome: Ediesse, 113-134.

Mottura, G. and P. Pinto. 1996. Immigrazione e cambiamento sociale. Strategie sindacali e lavoro straniero in Italia. Rome: Ediesse.

Mottura, G., S. Cozzi and M. Rinaldini. 2010. Uscire da Babele. Percorsi e problemi del rapporto tra sindacato e lavoratori immigrati. Rome: Ediesse.

NAGA. 2016. Attuale legislazione sanitaria italiana per gli immigrati irregolari e attuale fruibilità di tale legislazione a livello regionale. NAGA ანგარიშები. განახლებული: 2016 წლის 4 ივნისი.

ხელმისაწვდომია: <http://www.naga.it/index.php/notizie-naga/items/attuale-legislazione-sanitaria-italiana-e-attuale-fruibilita.html>. (Accessed April 5, 2017).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD). 2014. Lavoro per gli immigrati. L'integrazione nel mercato del lavoro in Italia. OECD გამომცემლობა <http://www.oecd.org/els/lavoro-per-gli-immigrati-9789264216570-it.htm> (Accessed April 10, 2017).

Pasini, N. and V. Merotta. 2016. "მიგრანტების ჯანმრთელობა." In V. Cesareo (Eds.). ოცდამეერთე იტალიის ანგარიში მიგრაციაზე 2015. Fondazione ISMU, Milano: McGraw-Hill Education, 41-47.

Perna, R. 2017. ზრუნვასა და კონტროლს შორის გადაწყვეტილების მოლოდინში. პიედმონტში ჯანდაცვის პრაქტიკები არარეგულარული მიგრანტებისთვის. სადოქტორო დისერტაცია. ტურინის უნივერსიტეტი.

Perocco, F. 2003. "L'apartheid Italiano." P. Basso and F. Perocco (eds.). Gli immigrati in Europa. Diseguaglianze, razzismo, lotte. Milan: FrancoAngeli, 211-233.

Pastore, M. 2010. "Sicurezza, ordine pubblico, immigrazione: la sanzione penale della 'clandestinità' e le restrizioni al ricongiungimento familiare varate con il 'pacchetto sicurezza'." In F. Carchedi, F. Carrera, G. Mottura (eds.). Immigrazione e Sindacato. Lavoro, cittadinanza e territori. VI Rapporto. Roma: Ediesse, 57-74.

Penninx, R., J. Roosblad (eds.). 2000. პროფესიული კავშირები, იმიგრაცია და იმიგრანტები ევროპაში 1960-1993. ამსტერდამი: Berghahn წიგნები.

Ragusa, S. 2011. Le Rosarno d'Italia. Storie di ordinaria ingiustizia. Firenze: Vallecchi.

Rechel B., P. Mladovsky, D. Ingleby, J.P. Mackenbach and M. McKee. 2013. "მიგრაცია და ჯანმრთელობა მზარდ მრავალფეროვან ევროპაში." The Lancet, 381: 1235-1245.

Reyneri, E. 2001. ევროკავშირის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში არარეგულარულ დასაქმებაში ჩართული მიგრანტები. ევროკავშირი. შენევა: საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია.

Rossi, E., F. Biondi dal Monte and M. Vrenna (eds.) 2013. *La governance dell'immigrazione. Diritti, politiche e competenze*. Bologna: Il Mulino.

Salis, E. 2012. შრომითი მიგრაციის მართვა თანამედროვე ევროპაში. იტალიის მაგალითი. აპრილი 2012. Fieri Working Papers http://www.labmiggov.eu/wpcontent/uploads/2012/04/LABMIGOV_WP1_Italy_Final-report.pdf

Società Italiana di Medicina delle Migrazioni (SIMM). 2002. *Raccomandazioni finali del VII Congresso SIMM. XIV SIMM Congress*. Erice, May 19-22, 2002. <http://tinyurl.com/guep2yj> (შესული 2017 წლის პირველ მარტს).

Trindafyllidou, A. and M. Ambrosini. 2011. "იტალიასა და საბერძნეთში არარეგულარული იმიგრაციის კონტროლი: დაცული საზღვარი და ღია კარი რომელიც ემსახურება შრომით

ბაზარს." მიგრაციის და კანონის ევროპული ჟურნალი, 13 (3): 251-273.

Zanrosso, E. 2013 (Ed.) *Testo Unico sull'immigrazione spiegato articolo per articolo*. Napoli: Edizioni Giuridiche

Simone. 2012. *Diritto dell'Immigrazione*. Napoli: Edizioni Giuridiche Simone.

Zaslove, A. 2006. "იმიგრაციის პოლიტიკა: ახალი საარჩევნო დილემა მემარჯვენეებისა და მემარცხენებისთვის?" ევროპული და რუსული საქმეების მიმოხილვა. 2 (3), 10-36.

Zincone, G. 2011. "იტალიის მაგალითი." In G. Zincone, R. Penninx and M. Borkert (eds.). *მიგრაციის პოლიტიკის მშენებლობა ევროპაში. აქტორებისა და კონტექსტების დინამიკა წარსულსა და აწმყოში. ამსტერდამი: Amsterdam უნივერსიტეტის პრესა, 247-290.*

1998. "უკანონობა, განათლება და განუსაზღვრელობა: ცხელი იტალიური რეცეპტი." *სამხრეთევროპული საზოგადოება და პოლიტიკა*, 3 (3), 43-81.

დანართი 1

დანართი 1. ბინადრობის ძირითადი ნებართვები იმიგრანტებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის (ერთიანი ტექსტი, განახლებული 2017 წლის აპრილში)³¹

(1) სამუშაო მიზეზები

დამოკიდებული სამუშაო – განსაზღვრული და განუსაზღვრელი (მუხლი 22)

დამსაქმებელმა, რომელსაც სურს დაიქირავოს არა ევროკავშირელი უცხოელი, ქვეყანაში უკვე მყოფ დასასაქმებელთა დაქირავების შეუძლებლობის დარწმუნების შემდეგ, მის დასახლებაში, ან სადაც აქვს კომპანიას სათაო ოფისი ან სადაც მუშა იმუშავენს, არსებულ **Sportello Unico per l'Immigrazione**-ში უნდა შეიტანოს აპლიკაცია, რომელიც მოიცავს: (1) პირადი აპლიკაცია სამუშაოს ავტორიზაციისთვის (*nulla osta*); (2) უცხოელისთვის განკუთვნილი რეგიონული რეგულაციების შესაბამისი საცხოვრებლის დამადასტურებელი დოკუმენტები; (3) შეთანხმება საცხოვრებელზე (*Contratto di soggiorno*), რომელიც შეიცავს შეთანხმების მთავარ ელემენტებსა და დამსაქმებლის ვალდებულებას გადაიხადოს უცხოელი მოქალაქის თავის ქვეყანაში დაბრუნების გადასახადი; (4) დამსაქმებლის ვალდებულება, რომ ნებისმიერი სამსახურეობრივი ცვლილებები შეატყობინოს **Sportello Unico**-ს (სამუშაო ურთერთობის განწყვეტა, სამუშაო ადგილის ცვლილება და ასე შემდეგ).

თუ დამსაქმებელი პირადად არ იცნობს მუშას, მას შეუძლია – ზემოთ ხსენებული დოკუმენტების შეტანით – შეიტანოს განცხადება სამუშაო ავტორიზაციაზე დასაქმების სიებში დარეგისტრირებული ერთი ან მეტი ადამიანისთვის, იმ ქვეყნების იტალიურ დიპლომატიურ ან საკონსულო დაწესებულებებში, რომლებთანაც იტალიას ხელმოწერილი აქვს *ad hoc* ორმხრივი შეთანხმება. აპლიკაციის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში, **Questura**-დან და პროვინციული შრომითი ოფისიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, **Sportello Unico** გასცემს *nulla osta*-ს და იმეილით უგზავნის დოკუმენტებს იტალიის საელჩო/საკონსულოს. დამოკიდებულ სამუშაოზე ავტორიზაცია ვალიდურია გაცემიდან 6 თვის განმავლობაში, რომლის დროსაც მუშა უნდა ჩამოვიდეს იტალიაში და ხელი მოაწეროს კონტრაქტს **Sportello Unico**-ში.

მას შემდეგ რაც მუშა მიიღებს მუშაობის ავტორიზაციას დამსაქმებლისგან, მან უნდა შეიტანოს განცხადება შეხვედრაზე იტალიის საელჩოში ან საკონსულოში თავის წარმოშობის ქვეყანაში. საელჩო/საკონსულო, სადაც გაიგზავნა ყველა დოკუმენტი, ატყობინებს პირს შემოთავაზებული კონტრაქტის შესახებ და აძლევს მას შესვლის ვიზას 30 დღის განმავლობაში. იტალიაში შესვლიდან 8 დღის განმავლობაში, მუშა უნდა წავიდეს მუშაობის ავტორიზაციის გამომცემელ **Sportello Unico**-ში და ხელი მოაწეროს ბინადრობის კონტრაქტსა და შეიტანოს აპლიკაცია ბინადრობის ნებართვაზე.

³¹ ამ და სხვა ტიპის დარჩენის ნებართვასა და პროცედურებისთვის იხილეთ ოჯახის სამინისტროს საიტის ინგლისური ვაიდეო-ნებო: http://www.poliziadistato.it/statics/40/0554_initaliairegola_english.pdf

სეზონური სამუშაო (მუხლები 24 და 25)

დამსაქმებელმა, რომელსაც სურს დაიქირავოს არაეფროკავშირელი უცხოელი აგრარულ და ტურისტულ სექტორებში, უნდა შეიტანოს სახელობითი აპლიკაცია მის ბინადრობაზე *Sportello Unico*-ში. შესაძლებლობის შემთხვევაში იმავე წესები მოქმედებენ რაც მუხლ 22-ში. 20 დღის მანძილზე *Sportello Unico* უშვებს სეზონური სამუშაოს ავტორიზაციას (ასევე მრავალწლიანს), სეზონური სამუშაოს ხანგრძლივობის შეთანხმებით. თუ 20 დღის მანძილზე *Sportello Unico*-მ უარი არ თქვა დამსაქმებლის აპლიკაციაზე, მაშინ ეს უნდა იქნას მიღებული როგორც დადებითი პასუხი, იმ შემთხვევაში თუ: (1) აპლიკაცია ეხება უცხოელს რომელიც აქამდე უკვე იყო იმავე დამსაქმებლის მუშა სეზონურ სამუშაოზე 5 წლის განმავლობაში; (2) უცხოელი რეგულარულად იყო დასაქმებული დამქირავებლის მიერ და მან პატივი სცა ყველა წესს მისი წინა დარჩენის დროს.

სეზონური სამუშაო ნებართვა იძლევა მაქსიმუმ 9 თვით სამუშაო შესაძლებლობას 12 თვის განმავლობაში. 9 თვის დასრულების შემდეგ უცხოელი უნდა წავიდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში.

სეზონურ მუშას, რომელმაც მიიღო წინა 5 წლის განმავლობაში სამუშაო ავტორიზაცია ერთხელ მაინც და ყოველ ჯერზე ბრუნდებოდა წარმოშობის ქვეყანაში 9 თვის შემდეგ, აქვს უპირატესობა იტალიაში დასაბრუნებლად და იმავე დამქირავებელზე სეზონური სამუშაოს განსახორციელებლად, იმასთან შედარებით ვისაც არ გაუვლია ეს პროცესი.

თუ სეზონურ მუშას, რომელიც დაქირავებულია 3 თვით მაინც, ეძლევა შემოთავაზება დამოკიდებულ სამუშაოზე (როგორც განსაზღვრული ასევე განუსაზღვრელი) მას შეუძლია მოითხოვოს *Sportello Unico*-ში სეზონური სამუშაო ნებართვის დამოკიდებულ სამუშაო ნებართვად გადაკეთება.

დამსაქმებლებს აქვთ უფლება დაიქირავონ სეზონური მუშა 3 წლამდე ვადით, თუ მუშა დაამტკიცებს, რომ ის ჩამოვიდა იტალიაში სეზონურ სამუშაოზე ორი წლით. ამისთვის უცხოელს ეძლევა მრავალწლიანი სეზონური სამუშაო ნებართვა (*Nulla osta pluriennale*).

სეზონური სამუშაოს მოკლევადიანობისა და სპეციფიურობის გამო უცხოელ მუშებს აქვთ უფლება შემდეგ აუცილებელ დახმარებებსა და სოციალურ დაცვაზე: (1) სიბერის, გადარჩენილების და არავალიდურობისგან დაზღვევა; (2) დაზღვევა სამუშაო უბედური შემთხვევებისა და სამუშაო დაავადებების წინააღმდეგ; (3) სავალდებულო რეგისტრაცია საჯარო ჯანდაცვის სისტემაში (იხილეთ დანართი 2); (4) დედობრივი დაზღვევა.

სიბერესთან, გადარჩენილების და არავალიდურობის საკითხებთან დაკავშირებული შემონიშნულობები ეგზავნება უცხოელის წარმოშობის ქვეყნის სოციალურ დაცვის ინსტიტუციას. თუმცა იმ შემთხვევაში თუ უცხოელი დაბრუნდება იტალიაში, მას შეუძლია ხელახლა აამოქმედოს წინა სტატუსი.

თვითდასაქმება (მუხლი 26)

იტალიაში არა ევროკავშირულ უცხოელებს შეუძლიათ ავტონომიური სამსახურის შესრულება ყველა სექტორში, გარდა იმ სექტორებისა რომლებიც კანონის მიერ მკაცრად განსაზღვრულია იტალიელისთვის ან ევროკავშირული მოქალაქისთვის. მათ უნდა აჩვენონ რომ აქვთ: ბიზნესისთვის საჭირო რესურსი; იტალიის კანონმდებლობით განსაზღვრული, მუშაობისთვის საჭირო რეკვიზიტები; კომპეტენტური სამსახურის მიერ, აპლიკაციამდე არა უგვიანეს 3 თვის წინ, გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დეფექტის არ არსებობას სამუშაო ავტორიზაციის ან ნებართვის გასაცემად.

მუშამ უნდა აჩვენოს რომ მას აქვს ადეკვატური საცხოვრისი, წლიური შემოსავალი რომელიც იტალიის კანონმდებლობის მიერ განსაზღვრულ საცხოვრებელ მინიმუმზე მეტია, რათა ჰქონდეს უფლება იყოს განთავისუფლებული ჯანდაცვის საერთო გადასახადისგან.

120 დღის განმავლობაში, ამ კრიტერიუმების დადასტურებისა და სამუშაო ავტორიზაციის მიღების შემდეგ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შრომის სამინისტროსგან, იტალიის საელჩო/საკონსულო გასცემს ვიზას, რომელშიც მითითებულია ის კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც უცხოელმა უნდა შეასრულოს. უცხოელი უნდა ჩავიდეს ქვეყანაში ვიზის გაცემიდან 180 დღის მანძილზე.

სამუშაო ნებართვა კონკრეტული შემთხვევისთვის (მუხლი 27)

კონკრეტული მუშების კატეგორიისთვის (როგორებიც არიან მენეჯერები, კომპანიების მალა-ლუნარიანი მუშები იტალიაში კანონიერი მისამართით; უნივერსიტეტის პროფესორები რომლებიც მიიწვიეს იტალიაში აკადემიური პოზიციის დასაკავებლად; მთარგმნელები; სახლის მუშა, რომელსაც აქვს ერთწლიანი კონტრაქტი მაინც იტალიელ მოქალაქესთან და რომელიც ჩამოდის იტალიაში სამუშაოს გასაგრძელებლად; იტალიაში ოფიციალურად აკრედიტებული კორესპონდენტები, რომლებიც მუდმივად არიან დასაქმებულნი უცხოურ პრესაში; სპორტის უცხოელი პროფესიონალები, რომლებიც კავდებიან ნებისმიერი სახის სპორტით იტალიური სპორტის საზოგადოებებთან კანონი ნომერი: 91/1981-ის გათვალისწინებით), საკმარისია თუ დამსაქმებელი გამოავაზენის ცნობას *Sportello Unico*-ში უცხოელის შემოსასვლელი კრიტერიუმების დამადასტურებელი სამუშაო კონტრაქტებით.

მოხალისეობრივი აქტივობები (მუხლი 27-bis)

შრომის, საოჯახო და საგარეო საქმეთა სამინისტროები წლიურად განსაზღვრავენ კვოტას მოხალისეობრივ ვიზებზე. ამ კვოტაში უცხოელები 20-დან 30 წლამდე დაიშვებიან იტალიაში მოხალისეობრივი აქტივობებისთვის, მას შემდეგ რაც ისინი წარმოადგენენ: (1) მათ მიკუთვნებულობას პასუხისმგებლიან ორგანიზაციაზე (რელიგიური ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან სოციალური განვითარების ასოციაციები, რომელთა დარეგისტრირებაც და ფორმალურად ამოცნობაც შესაძლებელია იტალიაში); (2) კონვენცია რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციასთან ჩასატარებელ აქტივობებს და სხვა რელევანტური უზრუნველყოფები, მათ შორის მოგზაურობისა და საცხოვრებლის დაფინანსება; (3) ორგანიზაციის მიერ მუშის ჯანმრთელობის და მესამე პირის სავალდებულო დაზღვევა. საშვის სააპლიკაციო პროცედურა ორგანიზაციის განსახორციელებელია.

სამეცნიერო კვლევა (მუხლები 27 –ters)

უცხოელებს, რომლებსაც აქვთ მასტერის დიპლომი და არიან რეგისტრირებულნი განათლების სამინისტროს სპეციფიკურ სიაში, ეძლევათ შემოსვლის უფლება 3 თვეზე მეტი ხნით, ყველანაირი კვოტების გარეშე. ისინი უნდა იყოს შერჩეული იტალიური კვლევითი ინსტიტუტის მიერ მკვლევარსა და ინსტიტუტს შორის არსებული კონვენციით, რომელიც განსაზღვრავს საკვლევ პერიოდს, ხელმისაწვდომ რესურსებს, მკვლევარის წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნების ხარჯებს, ჯანმრთელობის დაზღვევას მკვლევარისთვისა და მისი ოჯახის წევრებისთვის. საშვის სააპლიკაციო პროცედურის განმახორციელებელია კვლევითი ინსტიტუტი.

ევროკავშირის ცისფერი ბარათი – მაღალუნარიანი მუშები (მუხლი 27-quater)

ყველანაირი კვოტა მოხსნილი ნებართვა 3 თვეზე მეტი ხნით გაიცემა მაღალუნარიანი მუშებისთვის (მათ უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლების სერტიფიცირებული დიპლომი და მაღალუნარიანი კვალიფიკაცია), რომლებსაც სურთ დამოკიდებული სამუშაოს შესრულება იტალიელი მოსახლეობისთვის.

ამ საშვის სააპლიკაციო პროცედურის განმარტაციელებელია დამსაქმებელი, რომელმაც უნდა შეიტანოს *Sportello Unico*-ში: (1) სამუშაო შემოთავაზება ერთ წელზე არანაკლები ვადით, რომელიც ასევე იტყობინება შემოთავაზებულ ანაზღაურებაზე; (2) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და უცხოელის მაღალკვალიფიციურობის დადასტურება. 90 დღის მანძილზე, *Sportello Unico* გასცემს სამუშაოს ავტორიზაციას და უცხოელს მიეცემა სამუშაოსთვის ბინადრობის ნებართვა ფრაზით: '*Carta blu UE*'.

საშვის გაცემიდან პირველი ორი წლის განმავლობაში მუშამ უნდა შეასრულოს კონტრაქტში მითითებული სამუშაო. დამსაქმებლის შეცვლის შემთხვევაში უნდა იქნას ინფორმირებული ტერიტორიული შრომის ოფისი, რომელმაც მას უნდა მისცეს ავტორიზაცია. უცხოელებს, რომლებსაც აქვთ ევროკავშირის ცისფერი ბარათი, აქვთ იგივე უფლებები და ვალდებულებები რაც იტალიელ მოქალაქეებს, იმის გარდა რაც ეხება შრომით ბაზარს ევროკავშირის ცისფერი ბარათის გაცემიდან პირველი ორი წლის განმავლობაში. ოჯახის გაერთიანება გარანტირებულია ნებართვისგან დამოუკიდებლად.

(2)

ოჯახის გაერთიანებები (მუხლები 28 და 29)

არა ევროკავშირელი მოქალაქე, რომელსაც აქვს EC გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა, ან დამოკიდებული სამუშაოს ბინადრობის ნებართვა, თვითდასაქმებულ სამუშაოს, თავშესაფარის, სწავლის, ოჯახური ან რელიგიური მიზეზების გამო, რომელიც ვალიდურია ერთი წლის ვადით მაინც, შეუძლია შეიტანოს განცხადება ოჯახის გაერთიანებისთვის.

ოჯახის წევრები არიან: (1) მეუღლე; (2) 18 წლამდელი ბავშვები, მაშინაც კი თუ ისინი არიან მეუღლის ბავშვები ან დაიბადნენ ქორწილს გარეთ, განქორწილებული თუ დაშორებული მშობლების ბავშვები, იმ შემთხვევაში თუ მეორე მშობელი (თუ ცოცხალია) მისცემს ბავშვს თანხმობას; (3) დამოკიდებული შვილები 18 წელს ზემოთ, იმ შემთხვევაში თუ მათ აქვთ ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა, რაც იწვევს მათ უუნარობას საკუთარი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის; (4) დამოკიდებული მშობლები რომლებსაც არა აქვთ ადეკვატური ოჯახური მხარდაჭერა წარმოშობის ქვეყანაში.

სააპლიკაციო ფორმები ოჯახის გაერთიანებისთვის უნდა იქნას შეტანილი კომპეტენტურ *Sportello Unico*-ში საჭირო დოკუმენტაციით, რომელიც დაადასტურებს, რომ აპლიკანტს აქვს ადეკვატური საცხოვრებელი და მინიმალური შემოსავალი რათა უზრუნველყოს მისი ოჯახის წევრები. ოჯახის წევრმა თავის ქვეყანაში არსებულ იტალიის საკონსულოში უნდა შეიტანოს ოჯახურ ურთიერთობებთან დაკავშირებული საბუთები, მისი არასრულწლოვანების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სტატუსი. თუ ყველა პირობა დაკმაყოფილებულია, მაშინ *Sportello Unico* გასცემს ავტორიზაციას ოჯახის გაერთიანებისთვის აპლიკაციის შეტანიდან 90 დღის განმავლობაში.

იტალიაში ჩამოსვლიდან 8 დღის მანძილზე, ოჯახის წევრი უნდა მივიდეს *Sportello Unico*-ში, სადაც გაიცა ავტორიზაცია ბინადრობის ნებართვაზე მოთხოვნის შესატანად, რისი არ შესრულების შემთხვევაში ოჯახის წევრის დარჩენა იტალიის ტერიტორიაზე ჩაითვლება უკანონოდ.

ოჯახური მიზეზების გამო ბინადრობის ნებართვის მქონე პირს უფლება აქვს დამოკიდებულ ან თვით-დასაქმებულ სამუშაოზე, განათლებაზე და სავალდებულო რეგისტრაციაზე საჯარო ჯანდაცვის სისტემაში (იმ ნათესავების გარდა რომლებიც არიან 65 წელს გადაცილებულნი და რომლებიც შემოვიდნენ იტალიაში 2008 წლის 5 ნოემბრის შემდეგ და აქვთ უფლება ნებაყოფლობით რეგისტრაციაზე SSN-ში, როგორც ნაჩვენებია დანართებში 2 და 3).

იმ უცხოელის თანმხლები ნათესავები, რომელსაც აქვს შესასვლელი ვიზა, ვალდებულნი არიან გაიარონ იგივე პროცესი და წარმოადგინონ იგივე საბუთები, რომლებიც საჭიროა ოჯახის გაერთიანებისთვის.

(3)

სწავლის მიზეზები

თუ უცხოელს უნდა იტალიაში სწავლა 90 დღეზე მეტი ხნის ვადით, მან უნდა მოითხოვოს შენგენის ვიზა (თუ მას უნდა დარჩენა 90 დღით) ან ნაციონალური ვიზა (თუ მას სურს დარჩენა 90-დან 180 დღემდე) იტალიის საელჩო/საკონსულოში. ჩამოსვლიდან 8 დღის მანძილზე პირმა უნდა მოითხოვოს სტუდენტური ბინადრობის ნებართვა ნებისმიერ საფოსტო ოფისში.

საბუთები იტალიაში სტუდენტური ბინადრობის ნებართვისთვის: (1) კონკრეტული სააპლიკაციო ფორმა, რომლის მიღებაც შეიძლება ნებისმიერ საფოსტო ოფისში; (2) ვალიდური სამოგზაურო დოკუმენტის ფოტოასლი, რომელიც უნდა იყოს ვალიდური იტალიაში ყოფნის პერიოდში; (3) ჯანმრთელობის დაზღვევის გეგმის ფოტოასლი; (4) უცხოელის იტალიაში სწავლის დამადასტურებელი განაცხადის ასლი; (5) იტალიის საელჩო/საკონსულოს მიერ გაცემული განაცხადი ვიზასთან ერთად. სტუდენტური ბინადრობის ნებართვის მისაცემად, უცხოელმა უნდა დაამტკიცოს რომ მას აქვს თვეში 417.30 ევრო მაინც.

(4)

EC დარჩენის უფლება გრძელვადიანი მაცხოვრებლებისთვის ('Carta di soggiorno' მდე) (მუხლი 9)

არა ევროკავშირელ იმიგრანტს შეუძლია მოითხოვოს გრძელვადიანი ევროკავშირის ბინადრობის ნებართვა, თუ მას უცხოვრია იტალიაში ან სხვა ევროკავშირის ქვეყანაში 5 წლის განმავლობაში. აპლიკაცია შეიძლება შეტანილ იქნას ასევე მეუღლისთვის, არასრულწლოვანი ბავშვებისთვის, 18 წელს გადაცილებული დამოკიდებული უნარშეზღუდული ბავშვებისთვის და დამოკიდებული მშობლებისთვის. იდენტობის დამადასტურებელ საბუთებთან ერთად, აპლიკაციაში უნდა შედიოდეს პირის სოციალურ მინიმუმზე მეტი ხელფასის დამადასტურებელი საბუთი (ეს არ ეხება შინამოსამსახურეებს და ძიძებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ INPS გადახდის ქვითრები). იმ შემთხვევაში თუ პირი მოითხოვს ევროკავშირის ბინადრობის გრძელვადიანი ნებართვას ოჯახის წევრებისთვის, მან უნდა დაასაბუთოს, რომ მისი წლიური შემოსავალი საკმარისია ოჯახის ყველა წევრის უზრუნველსაყოფად. თუ აპლიკაცია შეტანილია ორ ან მეტ 14 წლამდელ ბავშვზე, მაშინ წლიური შემოსავალი დაშვებულ მინიმუმზე (Assegno Sociale) ორჯერ მეტი უნდა იყოს. EC გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა იმიგრანტს აძლევს უფლებას რომ: (1) იტალიაში შევიდეს ვიზის გარეშე; (2) იმუშაოს; (3) მიიღოს სოციალური სარგებელი და მომსახურებები; (4) მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დანართი 2. სავალდებულო რეგისტრაცია ჯანდაცვაზე

კანონიერი მდგომარეობა	საჭირო დოკუმენტები და ხანგრძლივობა
უცხოელები რომლებიც ელოდებიან ბინადრობის პირველ ნებართვას სამუშაოს გამო ან ოჯახის გაერთიანებისთვის	<ul style="list-style-type: none"> - ბინადრობის ნებართვისთვის ოფიციალური მოთხოვნის ქვითარი - იდენტობის დამადასტურებელი მოწმობა - ფისკალური კოდი (თვითსერტიფიკაცია) - სამყოფელის მისამართი <p>ხანგრძლივობა: შესვლიდან ნებართვის ვადის ამოწურვამდე (ვრცელდება დამოკიდებულ ნათესავებზე)</p>
<ul style="list-style-type: none"> - დამოკიდებული სამუშაო (ასევე სეზონური), თვითდასაქმება და დასაქმების ოფისში რეგისტრაცია - ოჯახის გაერთიანება (გარდა 65 წელს გადაცილებულებისთვის 05/11/2008, უფლებამოსილი ნებაყოფლობით რეგისტრაციაზე) - პოლიტიკური და ჰუმანიტარული თავშესაფარი (ასევე აპლიკაცია), საერთაშორისო და სუბსიდიარული დაცვა, მოქალაქეების გარეშე ყოფნა - მოქალაქეობის აპლიკაცია - ევროკავშირელი მოქალაქეების არა ევროკავშირელი ნათესავები, ჩანერილნი SSN-ში -მარტოხელა ბავშვები 	<p><i>თუ პირს აქვს ვალიდური დარჩენის ნებართვა:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ბინადრობის ნებართვის ასლი - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ფისკალური კოდი (თვითსერტიფიკაცია) - საცხოვრისის მისამართი - დასაქმების ოფისში რეგისტრაცია (თუ პირი უმუშევარია) <p>ხანგრძლივობა: შემოსვლიდან ნებართვის ამოწურვამდე (გავრცელებული დამოკიდებულ ნათესავებზე)</p> <p><i>თუ პირი ელოდება ბინადრობის ნებართვის განახლებას:</i></p> <ul style="list-style-type: none"> - ნებართვის განახლების ოფიციალური თხოვნის ქვითარი - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ფისკალური კოდი (თვითსერტიფიკაცია) - საცხოვრისის მისამართი <p>ხანგრძლივობა: განახლებული საშვის გაცემამდე (გავრცელებული დამოკიდებულ ოჯახის წევრებზე)</p>
<ul style="list-style-type: none"> - შვილად აყვანის პროცესში მყოფი - მშობლის ფუნქციის შესრულება 	<ul style="list-style-type: none"> - მშობლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - არასრულწლოვანის ფისკალური კოდი - ოჯახის სტატუსი (თვითსერტიფიკაცია) - შვილად აყვანის პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტაცია <p>ხანგრძლივობა: შემოსვლიდან სამუდამოდ</p>
- წინა არაფორმალური სამუშაოს რეგულარიზაციის ან ფორმალიზაციის მოლოდინი	<ul style="list-style-type: none"> - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - რეგულარიზაცია/ფორმალიზაციის დამადასტურებელი ოფიციალური საბუთები <p>ხანგრძლივობა: დარჩენის საშვის მიცემამდე</p>
- <i>Carta di soggiorno</i> -ს მფლობელები და გრძელვადიანი მაცხოვრებლები	<ul style="list-style-type: none"> - <i>Carta di soggiorno</i> ან მისი ფორმალურად მოთხოვნის ქვითარი - ფისკალური კოდი (თვითსერტიფიკაცია) - საცხოვრებლის მისამართი <p>ხანგრძლივობა სამუდამოდ (განვრცობილი დამოკიდებულ ნათესავებზე)</p>
- მსჯავრდებულები და დაკავებულები	<ul style="list-style-type: none"> - სერტიფიცირება დამსჯელი ინსტიტუციიდან/ სასამართლოდან - ფისკალური კოდი <p>ხანგრძლივობა: სასჯელ აღსრულებამდე</p>

დანართი 3. ჯანდაცვის ნებაყოფლობითი რეგისტრაცია

კანონიერი მდგომარეობა	საჭირო საბუთები და ხანგრძლივობა
<ul style="list-style-type: none"> - სტუდენტები და <i>au pairs</i> (გათანაბრებულები) 	<ul style="list-style-type: none"> - ბინადრობის ნებართვის ასლი ან პირველი/განახლების ნებართვაზე ოფიციალური მოთხოვნის ქვითარი ან ყოფნის გამოცხადება (3 თვეზე ნაკლები დროით დარჩენის შემთხვევაში) - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ფისკალური კოდი (თვითსერტიფიკაცია) - საცხოვრებლის მისამართი (თვითსერტიფიკაცია) - რეგისტრაციის გადასახადის ქვითარი (სრული) <p>ხანგრძლივობა: კალენდარული წელი, დაყოფის გარეშე (ვრცელდება დამოკიდებულ ნათესავებზე დამატებითი ხარჯების შემთხვევაში)</p>
<ul style="list-style-type: none"> - რელიგიური მუშაკები - ნებართვა არჩევით საცხოვრებელზე - გაერთიანებული 65 წელს გადაცილებული ოჯახის წევრები (შემოსულნი 05/11/2008-ის შემდეგ - იტალიაში მყოფი საერთაშორისო ორგანიზაციების მუშები - დიპლომატიური/ საკონსულო მისიების სტაფი - მუშები რომლებიც არ არიან ვალდებულნი გადაუხადონ იტალიას: IRPEF - მოხალისე პროგრამების მონაწილეები - იტალიაში სამეცნიერო კვლევისთვის დარჩენილი მკვლევარები - ყველა სხვა კატეგორია რომლებზეც არ ვრცელდება სავალდებულო რეგისტრაცია 	<ul style="list-style-type: none"> - ბინადრობის ნებართვის ასლი ან პირველი/განახლების ნებართვაზე ოფიციალური მოთხოვნის ქვითარი ან ყოფნის გამოცხადება (3 თვეზე ნაკლები დროით დარჩენის შემთხვევაში) - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - ფისკალური კოდი (თვითსერტიფიკაცია) - საცხოვრებლის მისამართი (თვითსერტიფიკაცია) - რეგისტრაციის გადასახადის ქვითარი <p>ხანგრძლივობა: კალენდარული წელი, დაყოფის გარეშე (ვრცელდება დამოკიდებულ ნათესავებზე)</p>

დანართი 4. არადოკუმენტირებული იმიგრანტებისთვის ჯანდაცვის უფლება

კანონიერი მდგომარეობა	ხანგრძლივობა
<p>- დროებით მყოფი უცხოელები (არადოკუმენტირებული იმიგრანტები)</p>	<p>სად: კოდის გაცემა შეუძლიათ ASL-ს, საავადმყოფოებს და უნივერსიტეტის პოლიკლინიკურ საავადმყოფოებს (რეგიონის გადაწყვეტილების მიხედვით)</p> <p>როგორ: პირადობის ინფორმაციის რეგისტრაცია (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვადაგასული ბინადრობის ნებართვა, ვიზა ან თვითონ პირის მიერ მონოდებული ინფორმაცია).</p> <p>გადასახადი: მონაწილეობის გადასახადები საერთო-გადასახადების მეშვეობით („ბილეთები“)</p> <p>საერთო გადასახადებისგან გათავისუფლების შემთხვევები:</p> <ul style="list-style-type: none"> - პირველადი დახმარება (პირდაპირი ხელმისაწვდომობა ყველანაირი წინასწარი დაჯავშნის ან ექიმის გამოწერის გარეშე) - ორსულობა ან დედობა - კოლექტიური ჯანმრთელობა - პათოლოგია - ასაკი (6 წლამდელებისთვის და 65 წელს მაღლა იმავე პირობებში რაც იტალიელ მოქალაქეებს). <p>მაგრამ: „ეკონომიკური უსახსრობის“ (თვითგამოცხადება) შემთხვევაში, საერთო გადასახადებისგან გათავისუფლებაზე შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ჯანმრთელობის უზრუნველმყოფელი. საერთო გადასახადებისგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ მაშინ როცა პირს სჭირდება კონკრეტული ერთჯერადი მომსახურება.</p>

დანართი 5. ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე ვისაც აქვს დარჩენის საშვი ჯანდაცვის მიზეზების გამო

კანონიერი მდგომარეობა	საჭირო საბუთები და ხანგრძლივობა
<p>- ბინადრობის ნებართვა ჯანმრთელობის მიზეზების გამო</p>	<p>პირის წარმოშობის ქვეყანაში არსებულ იტალიის საელჩოში ან საკონსულოში წარმოსადგენი საბუთები:</p> <ul style="list-style-type: none"> - ჯანმრთელობის სტრუქტურის დეკლარაცია, სადაც პირს უმკურონალებენ - სტრუქტურისთვის გადახდილი ფულის ქვითარი, რომელიც მომსახურების 30 პროცენტის ტოლია - პიროვნების ფინანსური შესაძლებლობის დამადასტურებელი ჯანმრთელობის მომსახურებულის გადახდის საგარანტიო მონაშობა, რომელსაც უზრუნველყოფს თავისთვისა და თანმხლები პირის ან პირებისთვის. ასევე ბინადრობის და მოგზაურობის გადასახადის გადახდა. <p>პირი არ იქნება დარეგისტრირებული SSN-ში.</p> <p>ბინადრობის ნებართვა გაგრძელდება ოპერაციისთვის საჭირო დროის განმავლობაში, მისი გახანგრძლივება შეიძლება მხოლოდ ხანგრძლივი თერაპიული საჭიროებების შემთხვევაში (რომლებიც ფორმალურად უნდა იყვნენ დადასტურებულნი). მისი შეცვლა სხვა სახის ნებართვით არ შეიძლება. მკურნალობის შემდეგ პირმა უნდა დატოვოს ქვეყანა.</p>

